ახალი განათლება

15-21.10.2020

№30 (904) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2 ანა ფირსხალაიშვილი
ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში

5 ლალი ჯელაძე
ვსწავლობთ ჩვენი და სხვების გამოცდილებით – სერია დილემების წინაშე მდგარი მასწავლებლებისთვის

4 ლალი თვალაბეიშვილი
შენ თვითონ წყვეტ საით გადადგა ნაბიჯი, მე უბრალოდ გეხმარები

7 სალომე ასანიძე
ენგურს მიღმა დილა სხვანაირად თენდება

საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა მსოფლიოს 100 საუკეთესო სკოლას შორის დასახელდა

WORLD EDUCATION WEEK

ხარისხის განვითარება

ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში, 2020 წლის 10 სექტემბერს, შევიდა რიგი ცვლილებები. ძირითადად რა საკითხებს შეეხო და რა მიზანს ისახავდა აღნიშნული ცვლილებები – ამის შესახებ საუბრობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ***ლაშა მარგიშვილი.***

– აკრედიტაციის დებულებაში ცვლილებების განხორციელებას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: დებულება შესაბამისობაში მოსულიყო 2020 წლის 12 ივნისს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან და ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. ამასთან, ცვლილების მიზანი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი რიგი ნაკლოვანებების გამოსწორება.

– კონკრეტულად, რა სახის ცვლილებები განხორციელდა აკრედიტაციის დებულებაში, რათა ის შესაბამისობაში მოსულიყო, ერთი მხრივ, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონთან და, მეორე მხრივ, ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან?

– „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის 12 ივნისს. აღნიშნული ცვლილების თანახმად, აკრედიტაციის საბჭოს მიეცა უფლებამოსილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის გაუქმების ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნებოდა მიღებული, მას შეეძლოს, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით, სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად, არაუგვიანეს, მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს.

ზემოაღნიშნული ცვლილების მიზანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმამ ან მისთვის აკრედიტაციის გაუქმებამ არ შელახოს სტუდენტის კანონიერი ინტერესები და მას ჰქონდეს არჩევანი – მიმდინარე სასწავლო წელი დაასრულოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ირიცხებოდა ან ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ირიცხებიან ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა განხორციელებისთვისაც აუცილებელია აკრედიტაციის ქონა. ასეთი პროგრამებია, მაგალითად: სამართალი, დიპლომირებული მედიკოსი, მასწავლებლის მომზადების, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, ქართულ ენაში მომზადების, საზღვაო ნავიგაციის, საზღვაო ინჟინერიის, საზღვაო ელექტროინჟინერიის და სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები. კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებამდე, თუკი, აკრედიტაციის საბჭო, ზემოაღნიშნულ რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამას, მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში გაუუქმებდა აკრედიტაციას ან უარს ეტყოდა განმეორებითი აკრედიტაციის მინიჭებაზე, სტუდენტებს, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდანვე, უჩერდებოდათ სტუდენტის სტატუსი, რაც, ერთი მხრივ, მობილობის პროცესის დასრულებამდე, იწვევდა სტუდენტის სტატუსით მინიჭებული შეღავათების (ჯანმრთელობის დაზღვევა, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა და სხვა) სარგებლობის შეზღუდვას და, მეორე მხრივ, სასწავლო პროცესიდან მოწყვეტასა და, მინიმუმ, ერთი სასწავლო სემესტრის დაკარგვას. კერძოდ, სტუდენტები საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ ასრულებდნენ მიმდინარე სემესტრს/წელს, ხშირად ვერც სხვა დაწესებულებაში ახერხებდნენ დროულად მობილობით გადასვლას და მიმდინარე სასწავლო სემესტრის ან/და წლის იქ დასრულებას, რაც იწვევდა მათი ფინანსური და დროითი რესურსების დამატებით ხარჯვას.

ასევე, ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ ქვეყანაში არსებულმა ბრძოლის ღონისძიებებმა, ცხადია, გაართულა აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესი. კერძოდ, ის აქტივობები, რომელთა დისტანციურად განხორციელება შესაძლებელია, ცენტრმა განახორციელა დისტანციურად, თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შეფასება მოიცავს, მათ შორის, მატერიალური რესურსების შესწავლასაც, რაც დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. აღნიშნულის გამო, **იმ დაწესებულებათა ინტერესის გათვალისწინებით, რომლებსაც აკრედიტაციის ვადები ეწურებოდათ 2020 წლის განმავლობაში, აკრედიტაციის მიმდინარე ვადები გაუხანგრძლივდათ 2020 წლის 31 დეკემბრამდე. ამასთან, 2015 წელს აკრედიტებულ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაციის ვადა გაუხანგრძლივდათ 2021 წლის 1 ივლისამდე.** რადგან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) წევრი ორგანიზაციაა, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში სავალდებულო წესით არიან ჩართულები შესაბამისი სფეროს საერთაშორისო ექსპერტები. ვინაიდან შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით შეზღუდული იყო საერთაშორისო ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლა, ამიტომ განხორციელდა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში შეიცვალა რიგი ტერმინები. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზუსტდა აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები.

– თუ შეიძლება განგვიმარტეთ, კიდევ რა სახის ცვლილებები განხორციელდა აკრედიტაციის დებულებაში აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?

– როგორც მოგეხსენებათ, განათლების ხარისხის განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესია. აკრედიტაციის დებულებაში შესული ცვლილებები ეფუძნებოდა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებულ უკუკავშირსა და ანალიზს, ასევე ცენტრის მიერ იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების ნაწილს, რომელიც გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამაგისტრო საფეხურზე დაშვებულია, ერთი პროგრამის მიერ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ერთი დეტალური სფეროს ფარგლებში, ერთზე მეტი კვალიფიკაციის (მაგრამ არაუმეტეს სამი) მინიჭება. აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ სამაგისტრო საფეხურის პროგრამები უფრო მოქნილი, ინტერდისციპლინური შინაარსის მქონე იყოს და სტუდენტს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე, ერთი პროგრამის ფარგლებში, სთავაზობდეს ერთზე მეტ კვალიფიკაციას.

განმეორებით აკრედიტაციის მიღების მიზნით, მკაფიოდ განისაზღვრა, თუ რამდენი კალენდარული დღით ადრე უნდა წარმოადგინოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სააკრედიტაციო განაცხადი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის უწყვეტობა.

ცვლილებების განხორციელებამდე, აკრედიტაციის მაძიებელი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იყო, რომ სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში ცვლილებები განეხორციელებინა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან, 5 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული რეგულაცია აკრედიტაციის ექსპერტებს საკმაოდ მცირე დროს უტოვებდა იმისათვის, რომ სიღრმისეულად და სრულყოფილად გასცნობოდნენ სააკრედიტაციო დოკუმენტაციას. არსებული პრაქტიკა ცხადყოფდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა, აღნიშნულ ვადაში, ცვლიდა ცენტრში უკვე წარდგენილ სააკრედიტაციო დოკუმენტაციას, უმეტეს შემთხვევაში, ბრძანების გაცნობიდან მე-5 დღეს, მაშინ, როდესაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს უკვე დაწყებული ჰქონდა სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების პროცესი. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტებს, უმეტეს შემთხვევაში, ორჯერ უხდებოდათ დოკუმენტაციის შეფასება. აქედან გამომდინარე, **დებულებაში შესული ცვლილებების თანახმად, აკრედიტაციის მაძიებელი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნამდე, კერძოდ, აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანების გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ცენტრში წარმოდგენილ სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში, ერთჯერადად, განახორციელოს ცვლილებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული ცვლილება ამოქმედდება 2021 წლის პირველი იანვრიდან, რათა ცენტრში მიმდინარე სააკრედიტაციო წარმოებების ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ შექმნოდათ პრობლემები.**

დებულებაში შესული ცვლილებებით დაკონკრეტდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საკითხი. კერძოდ, პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც, აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, აკრედიტაციის მაძიებელი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, საბჭო უფლებამოსილი იქნება, გადაწყვეტილება ძალაში შეიყვანოს წინა თარიღითაც.

ასევე, განსხვავებულად დარეგულირდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების საკითხი. **აკრედიტებული პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თუ რამდენიმე პროგრამად გაიყოფა, აღნიშნული პროგრამები არ განიხილება ახალ პროგრამებად და აკრედიტებულად ჩაითვლება გაყოფამდე არსებული პროგრამის აკრედიტაციის ვადით.** აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას მისცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ამავდროულად, ამ პროცესში არ დასჭირდებათ პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია, რაც, თავის მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, დაზოგონ როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსები და მათი კონსოლიდირება მოახდინონ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანაზე და არა სააკრედიტაციო პროცესებზე. მოცემულ შემთხვევაში, გაყოფილ საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაცია მოუწევს იმ ვადებში, რა ვადებშიც უწევდა გაყოფამდე არსებულ პროგრამას.

საგულისხმოა, რომ ცენტრი მომავალშიც განაგრძობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესებში გასავითარებელი მხარეების იდენტიფიცირებას და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით უზრუნველყოფს მათ გამოსწორებას.

ესაუბრა **ანა ფირცხალაიშვილი**

Info

www.akhaliganatleba.ge

პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით HR პროფესიონალთა ჩართულობის ასამაღლებლად

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა, Home-ში, პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა HR პროფესიონალთა ასოციაციისა (HRPA) და ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის (ICDC) წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის ორი მიმართულება განიხილეს: HR პროფესიონალების ჩართულობის გაზრდა პროფესიული განათლების სისტემაში და საჯარო-კერძო სექტორების თანამშრომლობის ხელშეწყობა.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი შეეხო კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის პლატფორმის – TVET HOME შექმნას. ახალი პლატფორმის ფარგლებში, შესაძლებელი იქნება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის დიალოგი პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევებისა და სამომავლო განვითარების გეგმების შესახებ. აღნიშნული მიზნით ექსპერტთა საბჭო შეიქმნება, რომლის შემადგენლობაშიც ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები შევლენ. TVET HOME-ის ფარგლებში ასევე დაიგეგმა აქტიური თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან. პლატფორმა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ევროპეიზაციასაც და მის შრომის ბაზართან კიდევ უფრო დაახლოებას.

HR პროფესიონალთა ასოციაციასთან შეხვედრაზე ხაზი გაესვა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების ჩართულობის მნიშვნელობასა და მის როლს პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით, მხარეებმა ასევე იმსჯელეს პროფესიული განათლების სფეროში HR სპეციალისტებთან თანამშრომლობის ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა: კვალიფიკაციების შემუშავება, კერძო სექტორთან თანამშრომლობა, პროფესიული პროგრამების შემუშავება, „უნარების სააგენტოსთან“ პოტენციური თანამშრომლობა, სტუდენტთა დასაქმება და ა.შ. აღნიშნული მიზნით შექმნილი ერთიანი პლატფორმა დაეხმარება კურსდამთავრებულებსა და საწარმოების ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელებს, მოიძიონ თავისუფალი ვაკანტური ადგილები და ის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციას ესაჭიროება.

ორმაგი ხარისხის კვების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა

6 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, აგრარული მეცნიერებების ფაკულტეტის შენობაში, ფრანგულ-ქართულ უნივერსიტეტთან და საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან პარტნიორობით, ორმაგი ხარისხის კვების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის გახსნის (სტუ-რენე1-ის უნივერსიტეტი) ცერემონია გაიმართა.

ღონისძიება გახსნეს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, დავით გურგენიძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, დიეგო კოლასმა, რენე 1-ის დირექტორის მოადგილემ საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, მურიელ ჰისლერმა (ონლაინ ჩართვა), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა, ასევე, ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის კოორდინატორმა, დავიდ ტერტრიმ, სტუ-ს აგრარული მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანმა, გიგა ქვარცხავამ და კვების ტექნოლოგიების პროგრამის სტუდენტმა, ნიკოლოზ ვეფხვაძემ. ახალი საბაკალავრო პროგრამის 12 სტუდენტთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საფრანგეთის საელჩოს, ფრანგული ინსტიტუტისა და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის სხვა პარტნიორი ორგანიზაციების, მათ შორის კომპანია სანტეს (ჯგუფი Lactalis), წარმომადგენლები.

კვების ტექნოლოგიების ეს საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ტექნიკური და პროფესიული უნარ-ჩვევების გადაცემას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით სტანდარტების ამაღლებას, განსაკუთრებით კი რძის მრეწველობის სფეროში. აღნიშნული პროგრამა რენეს უნივერსიტეტში უკვე არსებულ ფრანგულ პროგრამას – IUT de Saint Brieuc – ეფუძნება.

საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების პრეზენტაცია თსუ-ში

რეგიონში პირველად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმა პროგრამამ ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET) აკრედიტაცია მიიღო. საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების პრეზენტაციას ესწრებოდნენ აშშ-ს ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში ქეთრინ შვაიცერი და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

ABET-ის აკრედიტაცია მიიღო ორმა პროგრამამ: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები. შესაბამისად, ამ პროგრამების კურსდამთავრებულები საერთაშორისო აღიარების მქონე დიპლომს მიიღებენ, რომელიც კონკურენტუნარიანია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრა მიხეილ ჩხენკელმა: *„მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, მივულოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ორი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიღება, რაც დიდი მიღწევაა საქართველოს აკადემიური სივრცისათვის. ჩვენი მისწრაფებაც სწორედ ეს არის, რომ ყველა პროგრამა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტს და ჩვენი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიო მასშტაბით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველთვის დაუჭერს მხარს ამგვარ მნიშვნელოვან აკადემიურ ინიციატივებს.*

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულითადი მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მრავალწლიანი მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის საქართველოს განათლების სისტემის გაძლიერების კუთხით.“

აღსანიშნავია, რომ თსუ პირველი უნივერსიტეტია ABET-ის ისტორიაში, რომელმაც პირველივე ჯერზე მიიღო ამერიკული აკრედიტაცია. ასევე პირველია საქართველოში თსუ-ს საბაკალავრო პროგრამა ქიმიაში, რომელმაც ამერიკის ქიმიური საზოგადოების (ACS) სერტიფიცირება მიიღო. საქართველო 24-ე ქვეყანაა, სადაც ACS-ის წარმომადგენლობა გაიხსნა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, თსუ-ს რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ, პროგრამების საერთაშორისო აღიარებაში შეტანილი წვლილისათვის, თსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უნივერსიტეტის მედლებითა და მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარების დროს დასაცავი რეკომენდაციები

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების მიმდინარეობა

→ **ღია სივრცეში** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარება შესაძლებელია კლასის სრული შემადგენლობით;

→ **ღია სივრცეში** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარებისას ხელმისაწვდომ ადგილას უნდა განთავსდეს ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;

→ **დახურულ სივრცეში** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე მოსამზადებელი ნაწილის (სამწყობრო და ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების კომპლექსები) ჩატარება შესაძლებელია მთელი კლასის ჩართულობით, არანაკლებ 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით;

• იმ შემთხვევაში, თუ დახურულ სივრცეში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 20-ს და დარბაზის ფართი 180მ^2-ზე ნაკლებია, გაკვეთილის ძირითადი ნაწილი უნდა ჩატარდეს კლასის ორ ჯგუფად გაყოფით (ერთი ჯგუფი ჩართულია ფიზიკურ აქტივობებში, ხოლო მეორე ჯგუფი, 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით, ზის მათთვის სპეციალურად განკუთვნილ/გამოყოფილ ადგილზე), გარკვეული დროის შემდეგ, ჯგუფები ცვლიან პოზიციებს. ხოლო, 180მ^2 და მეტი ფართის შემთხვევაში (იგულისხმება: 10 X 18-ზე, 12 X 24-ზე და სხვა დარბაზი), შესაძლებელია გაკვეთილის ჩატარება კლასის სრული შემადგენლობით, არანაკლებ 1 მეტრი დისტანციის დაცვით;

• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც დახურული სივრცის ფართი 288მ^2 და მეტია (იგულისხმება 12 X 24-ზე და სხვა დარბაზი), სივრცის ორ ნაწილად გაყოფის შემთხვევაში (სივრცეები გამოიყოს ერთმანეთისგან ლენტით ან სხვა საშუალებით), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე შესაძლებელია, ერთდროულად, ორი კლასის შესვლა (გაკვეთილის ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მოცემული რეკომენდაციები);

• საბაზო-საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნისთვის განკუთვნილი 2 კვირეული საათიდან, შესაძლებელია, სკოლის სივრცეში 1 საათი ჩატარდეს ფიზიკური აქტივობები, ხოლო 1 საათი დაეთმოს დისტანციურ სწავლებას (დისტანციური სწავლებისას შესაძლებელია როგორც პროექტების მომზადება და პრეზენტაციების მოწყობა, ასევე ფიზიკური აქტივობების განხორციელება);

• დაწყებითი საფეხურის კლასებისთვის ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარება, არანაკლებ 1 მეტრის დისტანციის დაცვით, შესაძლებელია შემდეგ სივრცეებში: სპორტული დარბაზი; ღია მოედანი; დერეფანი; სააქტო დარბაზი; საკლასო ოთახი; ფოიე; სხვ.

• დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა (I-IV კლასი) შესაძლებელია, ორგანიზებული ფორმით, სკოლის ეზოში, 15-წუთიანი გასეირნება განახორციელონ კლასთან ერთად (ცუდი ამინდის პირობებში გასეირნება შესაძლებელია სკოლის დახურულ სივრცეში).

შენიშვნა: გასეირნებისას შესაძლებელია შემდეგი აქტივობების განხორციელება (1-მეტრიანი დისტანციის დაცვით):

→ სამწყობრო ვარჯიშები (მოწყობა, სიარული);

→ ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები (ზედა კიდურების, წელისა და ქვედა კიდურების ვარჯიშები);

→ მოძრავი თამაშები (შესაძლებლობის შემთხვევაში).

→ უსაფრთოების დაცვის მიზნით, შესაძლებელია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელს დახმარება გაუწიოს: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სხვა მასწავლებელმა, დამრიგებელმა, სკოლის სხვა მასწავლებელმა/თანამშრომელმა.

საგაკვეთილო პროცესში, სპორტის სახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სპორტული ინვენტარი (მაგ., ბურთი, კეგლი, ნიშნულები და ა.შ.). ხოლო, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, აუცილებელია სპორტული ინვენტარის სრული დეზინფექცია და მოსწავლეებმა/მასწავლებელმა ჩაიტარონ ხელების ჰიგიენური დამუშავება;

• დახურულ სივრცეში საგაკვეთილო პროცესში რეკომენდებულია სპორტის შემდეგი სახეობები: მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ჩოგბურთი, ფრენბურთი და მოძრავი თამაშები. ხოლო, კალათბურთის, ფეხბურთის, ხელბურთის, რაგბისა და სპორტის სხვა სახეობების შემოტანა შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური ელემენტების სწავლების დონეზე, ისე, რომ მოსწავლეებს შორის ფიზიკური კონტაქტი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი;

• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტულ დარბაზებში მოწესრიგდეს გასახდელები (1 მეტრის დისტანციის დაცვით გაკეთდეს საკიდები), გასახდელებში შესვლა განხორციელდეს ორგანიზებულად, მოსწავლეთა რიგითობის დაცვით, არანაკლებ 1 მეტრის დისტანციით).

რეკომენდაციები მომზადებულია ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით

სტუმარი

შენ თვითონ წყვეტ საით გადადგა ნაბიჯი, მე უბრალოდ გეხმარები

კორონავირუსის პანდემიის გამო მოსწავლეები სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. დისტანციური სწავლების ფონზე, ბევრმა ბავშვმა თავი იზოლირებულად, გარიყულად იგრძნო და შესაბამისმა ემოციებმაც იჩინა თავი. ემოციებთან გამკლავებაში შვილს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მშობელი უნდა დაეხმაროს, მაგრამ არანაკლებია მასწავლებლის როლი და საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოთერაპევტის. დღეს ჩვენი სტუმარია ბავშვთა და მოზარდთა გეშტალტ თერაპევტი ნია ჭინჭარაული, რომელიც ბევრ საინტერესო საკითხზე გვესაუბრება.

– რას გულისხმობს თქვენი სპეციალობა – გეშტალტ თერაპია და რით განსხვავდება ფსიქოთერაპიისგან?

– გეშტალტ თერაპია იგივე ფსიქოთერაპიაა, რომელიც უბრალოდ კონკრეტულ მიმდინარეობას გულისხმობს და ეს ნიშნავს, რომ აქ და ამჟამად განვიხილავთ ნებისმიერ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მაგალითად, რა გავლენას ახდენს ბავშვობის გამოცდილება დღეს ჩვენს ცხოვრებაზე, რაზე აისახება, როგორ გრძნობ ამას. ძირითადად, აქცენტი კეთდება უფრო შეგრძნებებსა და ემოციებზე, ვიდრე რაციონალურ მხარეზე, თუმცა, ამას სულ ვაკავშირებთ ერთმანეთთან, როგორ ურთიერთქმედებენ, ემთხვევა თუ არა ეს ორი ერთმანეთს, თუ აცდენილია, რას გრძნობ და რას ფიქრობ, რატომ... მაგალითად, ფსიქოანალიტიკოსს, როცა კლიენტი ესაუბრება, კონკრეტული დასკვნები და შეფასებები გამოაქვს და ამას ეუბნება. გეშტალტ თერაპევტი, ფაქტობრივად, არასოდეს (ყოველ შემთხვევაში, ამას ნაკლებად აცხადებს) ეუბნება დასკვნებს, ნებისმიერ მოცემულობას ერთად იხილავენ – ასე გრძნობ თავს? ეს როგორია, რასთან ასოცირდება და ა.შ. მნიშვნელოვანია ერთ სიბრტყეზე ურთიერთობა და დიალოგი.

– თქვენს კლიენტებს შორის არიან როგორც უფროსები, ასევე ბავშვები, მოზარდები. ვისთან მუშაობა უფრო საინტერესოა?

– ჩემთვის მოზარდები ყველაზე საყვარელი კლიენტები არიან იმიტომ, რომ განსხვავებულები არიან, თან უკვე რაღაც იციან, თითქოს დიდ ცხოვრებაში გადასასვლელი ნაბიჯები იდგმება და ძალიან მსიამოვნებს ამ პროცესში მონაწილეობა. მათთან ძალიან ცოცხალი კონტაქტი მყარდება ხოლმე, როგორც წესი. როცა ზრდასრული ადამიანი რაღაც პრობლემით მოდის, მასთან ბევრად ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო (გააჩნია თემას), ვიდრე ბავშვთან ან მოზარდთან, რადგან მის შემთხვევაში პრობლემა ახალია და ჯერ კიდევ შეგიძლია ამონიო და გაათავისუფლო იმ რაღაცისგან, რაც აწუხებს. ძალიან მსიამოვნებს მოზარდებთან მუშაობა.

– პანდემიის ფონზე იმატა მომართვიანობამ?

– ვერ ვიტყოდი, რომ მომართვიანობა გაიზარდა. როცა ამ მიმართულებით მუშაობ და აკვირდები პროცესს, მუდმივად არის, ასე ვთქვათ, ტალღები. ვერც იმას ვიტყოდი, რომ იმის გამო შემცირდა, ვიღაცას ფინანსური რესურსი მოაკლდა. გარკვეული პერიოდი ფსიქოთერაპევტები ონლაინ მუშაობაზე გადავედით, მაშინაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცისთვის, შეიძლება, ეს მისაღები ფორმა არ იყო, დიდი ნაწილი დარჩა ონლაინზე, როგორც ჩანს, ნაწილში იმდენად დიდი იყო თერაპიის საჭიროების განცდა, რომ ადამიანებმა ეს რიტმი შეინარჩუნეს.

– როგორ აისახა ადამიანებზე პანდემია, როგორც სტრესი?

– პანდემია ნამდვილად სტრესი აღმოჩნდა და სხვადასხვანაირად აისახა სხვადასხვა ადამიანებზე, მაგალითად, მათ, ვისაც ისედაც ფსიქიკური პრობლემები ჰქონდათ (ვთქვათ, მედიკამენტს იღებდა, განსაკუთრებული შფოთვა, ცუდი ძილი კოშმარებით ან პანიკური შეტევები ახასიათებდა), ეს შეგრძნებები გაუმძაფრდათ და პრობლემებმა კიდევ უფრო იმატა. ხოლო კლიენტებზე, რომლებსაც განსაკუთრებული სირთულეები არ ჰქონდათ, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი გავლენა იქონია, თუმცა, ცხადია, დისკომფორტი ყველასთვის იყო.

– მოზარდებში როგორი სურათია?

– იგივე შემიძლია ვთქვა მოზარდებზეც. მედიკამენტების მოხმარებამ მოიმატა, თუ ადრე, როცა ექიმი ძლიერ მედიკამენტებს უნიშნავდა, მიღებას თავს არიდებდნენ, ამ პერიოდში, უფრო ხშირად მქონია შემთხვევა, როცა დაიწყეს მედიკამენტის მიღება.

– შეიძლება ითქვას, რომ გაჩნდა პრობლემა – ბავშვი და კორონავირუსი?

– ბავშვის განწყობა მთლიანად გამომდინარეობს მშობლის განწყობიდან. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რას ვეუბნებით, არამედ ისიც, როგორ ვგრძნობთ ამ დროს თავს, როგორ ვაწვდით ამ ინფორმაციას. თუ ოჯახში ღელავენ, განსაკუთრებული შფოთია ამასთან დაკავშირებით, ცხადია, ბავშვზე კიდევ უფრო მძაფრად აისახება. ამიტომ ეს ორი რამ გადაბმულია ერთმანეთზე – თუ მშობელი გაწონასწორებულია და ბავშვს მშვიდად აწვდის ინფორმაციას – რა ხდება, თავი როგორ დავიცვათ, რომ არც ისე გამოუვალი ვითარებაა, ეს და ეს გვიცავს, თუ წესებს დავიცავთ, ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ვაწვდით ბავშვს ინფორმაციას, თუ კონსტრუქციულად და თანმიმდევრულად, ყველაფრის გათვალისწინებით, მის ასაკზე მორგებული დამოკიდებულებით, მაშინ ბავშვებიც ინარჩუნებენ სიმშვიდეს, მაგრამ თუ მშობელი ღელავს და ძალიან გაუწონასწორებელია, ცხადია, ეს ბავშვზეც აისახება.

– სასწავლო პროცესი გაზაფხულზე უჩვეულოდ წარიმართა, ესეც სტრესული იყო ალბათ ბავშვებისთვის?

– ზოგადად ბევრი სტრესი აქვთ ბავშვებს, რთულად მიდის შეგუება ამ პროცესთან. მე სამი შვილი მყავს და მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლების გარკვეული გამოცდილება ჩამოუყალიბდათ, ვხედავ, რომ ბევრი სტრესული მომენტი შემოდის (ინტერნეტი ჭედავს, მასწავლებლის ხმა ცუდად ისმის ან სხვ.), უამრავი ხარვეზია. მე (ბავშვი) ამ ყველაფერსაც უნდა გავუმკლავდე და თან ცოდნა მივიღო, რაც ძალიან მიჭირს, ამ სტრესსაც უნდა მოვერიო, რომ კორონავირუსია და რაღაც საშიროება გვემუქრება, ჯანმრთელობის კუთხით. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ბავშვები დაზიანდნენ.

– რას ურჩევდით მშობლებს, მასწავლებლებს, ბავშვებს?

– რჩევის სახით, ვეტყოდი, რომ ეს დროებითი მოცემულობაა და ჩვენ ერთად უნდა გავუმკლავდეთ იმით, რომ დავიცვათ წესები, ერთმანეთს დავეხმაროთ ამაში. მაგალითად, ჩემს პატარა შვილთან მასწავლებლებს ხელთათმანები აცვიათ, პირბადეები უკეთიათ, ბავშვები მასწავლებლების ემოციებს ვერ ხედავენ, რაც ძალიან რთულია, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, უბრალოდ, არის ასეთი მოცემულობა და იქიდან გამომდინარე, რომ მასწავლებელი ან ნებისმიერი ზრდასრული თუ იცავს წესებს და ახმოვანებს, ამას რატომ აკეთებს, ბავშვიც რაღაცნაირად იღებს ამას. მთავარია, კიდევ გავიმეორებ, მოცემულობა, რომ ეს არის დროებითი, ჩვენ დავუბრუნდებით ჩვეულ ცხოვრებას, ჩვეულ რიტმს, ამას უნდა გავუმკლავდეთ ერთად.

– ახალი მოცემულობა, ალბათ, ყველაზე მეტად პირველკლასელებისთვის არის რთული? როგორც პირველკლასელის მშობელი, როგორია თქვენი დამოკიდებულება?

– მე, ფაქტობრივად, ვერ წარმომედგინა როგორ უნდა ესწავლა პირველ კლასში ონლაინ და ვფიქრობდი, გამომეყვანა, თუ ონლაინ სწავლება გაგრძელდებოდა. იმიტომ, რომ მას არ აქვს არანაირი უნარი, საერთოდ წარმოდგენა არ აქვს სასკოლო პროცესზე და აბსოლუტური ტანჯვა იქნებოდა მისთვის. პირველკლასელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მშობელი იყოს ჩართული. სიახლე ყოველთვის სტრესია, მიუხედავად იმისა, კარგია თუ ცუდი, განსაკუთრებით ბავშვისთვის. ახალ ფორმატში გადასვლაც ისედაც სტრესულია, კიდევ კორონა, ნიღაბი... ამიტომ ოჯახი უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ გარკვეული პერიოდი ბავშვს განსაკუთრებული თანადგომა და მხარდაჭერა დასჭირდება. თუნდაც, მისი დაძაბული ხასიათის ატანა, ის ბევრი რამით შეიძლება იყოს უკმაყოფილო, წყენას გამოხატავდეს; შეიძლება დაუცველობის განცდა ჰქონდეს, ბრაზი მოერიოს, მოთმინებასთან გამკლავება გაუჭირდეს, ამიტომ უფროსებს განსაკუთრებული როლი გვაკისრია ახლა, რომ ბავშვებს მხარში დავუდგეთ, არ ავყვეთ მათ „მორყეულ“ ხასიათს და, პირიქით, ვეცადოთ, ჩვენ გავამყაროთ ჩვენი გაწონასწორებულობით, დიალოგით, ახსნით, სითბოთი. ძალიან მნიშვნელოვანია ემოციური მხარდაჭერა.

– ზოგადად როგორ აისახება მოსწავლეზე დისტანციური სწავლება?

– ჩემი პრაქტიკით, მე რასაც ვხედავ, კი მიმდინარეობს ონლაინ გაკვეთილები და ლექციები, მაგრამ, როგორც ჩანს, სწავლის ხარისხი ძალიან დაეცა, რადგან მოსწავლეებს უბრალოდ უჭირთ აქედან მიიღონ ის, რასაც ჩვეულ რეჟიმში მიმდინარე გაკვეთილებზე იღებდნენ. არ ვიცი, რა რეკომენდაციის მიცემა შეიძლება, იმდენად სტრესულია გარემო, აქ კიდევ დამატებით საკითხავის მიცემა ან რაღაც აქტივობებში ჩართვა, არ ვიცი რამდენად მიზანშეწონილია, ვისაც როგორ შეუძლია. ამ დროს, რა თქმა უნდა, კარგია სპორტი, რომ ის დაგროვილი ენერგია, რომელსაც ვერ ვხარჯავთ, სადღაც გამოვიდეს. უნდა გავუმკლავდეთ შექმნილ ვითარებას, ეს მთელი სამყაროს პრობლემაა, ასე მოხდა, რომ ამ ყველაფერთან თანაცხოვრება გვიწევს.

– როგორია ბავშვებთან მუშაობისას არტ თერაპიის როლი?

– არტ თერაპიას ზოგადად გეშტალტი მოიაზრებს, ბევრი გეშტალტ თერაპევტი მუშაობს ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ბავშვებთან. მათთან ხომ ჩვეულებრივი დისკუსია არ მიდის, მათთვის ეს უინტერესოა, ვცდილობთ კონკრეტული დავალება დავახატინოთ და შემდეგ ამაზე ვმსჯელობთ, სხვადასხვა კუთხით ვუდგებით, იგივე ქვიშის თერაპია, ძერწვა, არტ თერაპია ამ ყველაფერს მოიცავს და კარგია იმით, რომ პროცესი ბავშვებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან თვითონ ქმნიან, ჩართულები არიან, შემდეგ ამ ყველაფრის ვიზუალიზაცია ხდება, მაგალითად, ნებისმიერი ემოცია, რომელიც შეიძლება დახატონ – როგორ გამოიყურება, როგორი ფაქტურა აქვს, რაიმე სუნი ხომ არ აქვს და ა.შ. თუმცა, არტ-თერაპიას დიდებთანაც ხშირად ვიყენებ (გააჩნია ადამიანს, არიან კლიენტები, რომლებიც პირდაპირ უარს აცხადებენ, არიან ისეთებიც, ვისაც ეს ძალიან უყვარს) და ძალიან კარგადაც მოგვყვებიან.

თერაპევტისთვის ეს დამხმარე ინსტრუმენტია, საკმაოდ ძლიერი და ეფექტური იმიტომ, რომ ის, რასაც კლიენტი გრძნობს, გამოაქვს ფურცელზე და უფრო მეტი აქცენტი შეუძლია გააკეთოს, კონცენტრირდეს, ახსნას ის, რასაც მისთვის გარკვეული სტრუქტურა არ აქვს, სადღაც მასში არსებობს და ეს გამოაქვს და ხატავს. ამას თვითონვე ხედავს და იღებს ინფორმაციას და შემდეგ, თერაპევტის დახმარებით, კიდევ უფრო ღრმად ჩადის. ასე რომ, უძვირფასესი ინსტრუმენტია მათთვის, ვისთვისაც მისაღებია. ბავშვებთან, 90%, მე პირადად, გეშტალტით და არტ თერაპიით ვმუშაობ.

– თუ არის გათვალისწინებული ერთობლივი აქტივობები მშობლებთან და ბავშვებთან?

– რა თქმა უნდა, მაგალითად, მშობლების ტრენინგი (ახლა შეჩერებული გვაქვს ტრენინგები), რომელიც 6 შეხვედრას მოიცავს, აქედან 2 ბავშვებთან ერთად ტარდება. ბავშვების შემთხვევაში – მშობლებთან ერთად ტარდება და ერთობლივ აქტივობებზე უკეთესი კონტაქტი მყარდება მათ შორის, რაღაც ახალი იკვეთება, დადებითი, რაც იქამდე არ ჰქონიათ. არტ თერაპიის, ჯგუფური ველის დახმარებით, თერაპევტის მაქსიმალური ჩართულობით, ნამდვილად სასიამოვნოდ მიმდინარეობს ხოლმე ეს ყველაფერი.

– ისევ თქვენს პროფესიას რომ დავუბრუნდეთ, რა არის მთავარი და ძირეული გეშტალტ ფსიქოლოგიაში?

– ძალიან ჰუმანისტური მიდგომაა, მაგალითად ის, რომ მე კლიენტზე მაღლა არ ვგრძნობ თავს და ვინარჩუნებ თანაბარუფლებიანობას – მე რაღაც კი არ ვიცი და ჩემს პროექციებს კი არ გახვევ თავს, არამედ შენ რასაც მიზიარებ, მე ის ყველაფერი მესმის, შემოვდივარ დიალოგში და ჩვენ შორის ხდება ცოდნის გაზიარება. ეს არის მთავარი.

ადამიანის მიმღებლობა ისეთად, როგორც ფსიქოთერაპიის ნებისმიერ მიმართულებაში, როგორიც ის არის, მიმღებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. კონფიდენციალობის დაცვაც უმნიშვნელოვანესია. გავუსვამ ხაზს, რომ ჩვენ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ და ხშირად ეს პრობლემურია ხოლმე. არა მხოლოდ გეშტალტ, ზოგადად, ფსიქოლოგიაზე ვსაუბრობ, რომ ბევრი კომპონენტია, რომელთა დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია – მიღება, ზრუნვა კლიენტზე და პრობლემასთან ერთად გამკლავება.

არსებობს ასეთი მეტაფორა– როგორია თერაპევტის როლი, რომელიც ძალიან მიყვარს და ხშირად ვეუბნები ჩემს კლიენტებს: წარმოიდგინე უღრანი ტყე, სადაც შენ მიაბიჯებ. გზას საერთოდ ვერ ხედავ, არ არის და უცაბედი გადაწყვეტილებებით გიწევს გზის გაგრძელება. მე ვდგავარ ოდნავ შენს უკან ან გვერდით და ფანრით გინათებ, საითაც მიიხედავ, რომ გახდეს უფრო ნათელი და შენ მიიღო გადაწყვეტილება – წახვიდე იქით თუ არა. შენ თვითონ წყვეტ საით გადადგა ნაბიჯი, მე უბრალოდ გეხმარები, უკეთ დაინახო ეს ადგილი. ძალიან მხარდამჭერი მომენტია, როცა კლიენტი ხვდება, რომ რეალურად თვითონ იღებს გადაწვეტილებებს საკუთარ ცხოვრებაში, უბრალოდ, მე მაქვს დამხმარე რგოლის, ერთგვარი ყავარჯნის ფუნქცია. მთელი არსი ფსიქოთერაპიის არის ეს და ვფიქრობ, ამან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ახლა, როცა ადამიანებს მხარდაჭერა და სიმყარის განცდა უფრო მეტად სჭირდებათ. იმედი ვიქონიოთ, რომ მოვერევით ამ ყველაფერს.

ესაუბრა **ლალი თვალაბეიშვილი**

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ვსწავლობთ ჩვენი და სხვების გამოცდილებით – სერია დილემების წინაშე მდგარი მასწავლებლებისთვის

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურსების პროგრამა ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „MASTSAVLEBELI.GE“, მასწავლებლის ბიბლიოთეკის სერიით, ყოველწლიურად გამოსცემს მასწავლებლის ორ წიგნს, რომელსაც საჩუქრად უგზავნის საქართველოს ყველა საჯარო სკოლას და საგანმანათლებლო რესურსცენტრს. სერიის თითოეული წიგნის თემატიკა მასწავლებლის საჭიროების და თანამედროვე გამოწვევების მიხედვითაა შერჩეული. რას გულისხმობს მასწავლებლის ბიბლიოთეკა და რა დახმარებას უწევს ის პედაგოგებს, ამის შესახებ გვესაუბრება საინფორმაციო, საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის მენეჯერი ნატო ინგოროყვა.

– ქალბატონო ნატო, ვიდრე წლევანდელ გამოცემებზე დავიწყებთ საუბარს, მოკლედ მიმოვიხილოთ მასწავლებლის ბიბლიოთეკის სერიის ის წიგნები, რომელსაც წლების განმავლობაში ამზადებთ მასწავლებელთა დასახმარებლად

– პირველი მასწავლებლის წიგნი – **„პროფესიული უნარები“** – 2013 წელს გამოიცა და მისი შინაარსი ორიენტირებულია მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისადაა შექმნილი და ძალიან დაეხმარა მასწავლებლებს პროფესიული უნარების გამოცდისთვის მომზადებაში. შემდეგ გამოვიდა მასწავლებლის წიგნი – **„განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“.** ის პრაქტიკული ხასიათისაა და დაწყებითი კლასის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვან რჩევებს, რეკომენდაციებსა და სწავლების მეთოდების აღწერას მოიცავს. შემდეგი მასწავლებლის წიგნი **„საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის“** მომზადდა, სადაც ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით.

რედაქციის გადაწყვეტილებით, ითარგმნა და წიგნად გამოვიდა მსოფლიო ბესტსელერი თომას გორდონის **„როგორ გავხდე კარგი მშობელი“,** რაც ჩვენი მშობლებისთვის მართლაც საინტერესო და საჭირო საკითხავი გახლავთ, თავისი პრაქტიკული რჩევებითა და მაგალითებით.

სერიის მეხუთე წიგნია **„ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში“**, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მეთოდების აღწერას, არამედ ყველა სასწავლო დისციპლინაში აქტივობებს და სცენარებს. მასწავლებლები ყოველთვის მიუთითებენ ამ წიგნის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

მეექვსე გამოცემაა **„შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი, შიდა სასკოლო“**. წიგნის ავტორები გვთავაზობენ პასუხებს შემდეგ კითხვებზე: რატომ არის შეფასების თემა ასე მნიშვნელოვანი? როგორ უნდა გამოვიყენოთ შეფასების მეთოდები და შედეგები? როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს შეფასება და სწავლების დაგეგმვა? როდის უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი, განმსაზღვრელი, მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება? რა მნიშვნელობა აქვს შეფასების პრინციპებს? რა როლს თამაშობს შიდასასკოლო შეფასების მექანიზმები სკოლის კულტურის ჩამოყალიბებაში და ხარისხზე ორიენტირებულ სწავლებაში? როგორია უცხოელი კოლეგების გამოცდილება შეფასებასთან დაკავშირებით?





მასწავლებლის მეშვიდე წიგნი **„გამჭოლ კომპეტენციებს“** ეთმობა. ავტორები გვთავაზობენ მეთოდურ რეკომენდაციებსა და აქტივობებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება მასწავლებლებს, მოსწავლეებს ეკოლოგიური, სემიოტიკური და მედიაწიგნიერების უნარები განუვითარონ.

ასევე, მასწავლებელთა საჭიროების გათვალისწინებით მომზადდა და გამოვიდა სერიის მერვე გამოცემაც – **„ლიტერატურის სწავლება“**. ამ წიგნის ავტორები გვთავაზობენ ლიტერატურის სწავლების იმ მეთოდებს და მიდგომებს, რომლებიც პრაქტიკულ რჩევებზეა დაფუძნებული და პასუხს სცემს უმთავრეს კითხვას – როგორ ვასწავლოთ ლიტერატურული საკითხები სკოლაში ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა; პროცესმა ბიძგი მისცა თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური – ინდივიდუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას.

რიგით მეცხრე გამოცემაში **„უსაფრთხო სკოლა“**, ავტორები პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განიხილავენ რამდენად მნიშვნელოვანია: ბავშვისადმი ჰუმანური დამოკიდებულება; ბავშვის უფლებების დაცვა; მშობლის, ოჯახის და სოციუმის როლი; არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა; ბულინგისაგან დაცვა; სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება; ემოციებისა და ქცევის მართვა; მასწავლებლების, მშობლებისა და თემის როლი სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაში; უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ფიზიკური გარემო; ერთობაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა; სკოლის პოლიტიკა და პროცედურები; სკოლის საზოგადოების პროფესიული განვითარება; ქცევის პოზიტიური მართვის ტრადიცია; უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა; ორიენტაცია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე; ადრეული ჩარევა და მიზანმიმართული მხარდაჭერა; თანამშრომლობა ოჯახსა და თემთან.

მასწავლებლის მეათე წიგნის **„ინკლუზიური განათლება“** ავტორები გვთავაზობენ სწორ პრინციპებზე დაფუძნებულ ინკლუზიური განათლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რაც ეხმარება სკოლას, მასწავლებელს, მშობელს, საზოგადოებას დისკრიმინაციის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის აღკვეთაში და საშუალებას აძლევს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისწავლონ, აღადგინონ საკუთარი უფლებები, რაც იმის სარწმუნო ბაზისი იქნება, რომ ბავშვები მომავალში საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდებიან.

„მე – მასწავლებელი, ავტორები“ – მასწავლებლის პროფესიის იდუმალ, საინტერესო, რთულ და ჯადოსნურ ამბავზეა. მასწავლებლის მეთერთმეტე წიგნი პირველი მცდელობაა, რომ მასწავლებლებმა თავად ისაუბრონ პროფესიაზე, მათ გზაზე ამ პროფესიაში, ისაუბრონ იმ პედაგოგებზე, ვინც ცხოვრება გაუადვილა, შეუცვალა და მთავარი ღირებულებების შესახებ გაუმხილა.

მეთორმეტე წიგნის – **„საკლასო ოთახის“** ავტორები განიხილავენ საკლასო ოთახის სხვადასხვა ასპექტს, რადგან ამ მრავალფეროვან და განსხვავებულ სივრცეს რეალურად არ გააჩნია საზღვრები. საკლასო ოთახი განათლების, მოსწავლეთა უფლებების, თავისუფლების, ცოდნისა და უნარების რეალიზების საუკეთესო საშუალებაა.

– როგორც ცნობილია, მასწავლებლის ბიბლიოთეკის სერიას წელს კიდევ სამი გამოცემა შეემატა. ერთ-ერთი მათგანი, შექმნილი გარემოების გამო, დისტანციურ გაკვეთილებს დაეთმო.

– **„გაკვეთილები დისტანციური სწავლებისთვის“**, 2020 წლის გაზაფხულზე, ექსტრემალურ სიტუაციაში შეიქმნა. ამ წიგნში შევიდა მასალები ჩვენი მასწავლებლების დისტანციური გაკვეთილებიდან. წიგნი საკმაოდ მრავალფეროვანია. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან იყო დროული და ითვალისწინებდა მასწავლებელთა საჭიროებებს. კაცობრიობის არსებობის მანძილზე მასწავლებელი მუდმივად ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე იდგა და ყოველი ახალი გამოწვევა წინა გამოწვევებზე ბევრად უფრო მეტ შემოქმედებითობას და რაციონალურობას მოითხოვდა. ასე მოხდა ახლაც, ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში მთელი მსოფლიოს მასწავლებლებმა საკუთარი სახლებიდან დაიწყეს მასწავლებლობა. ამ წიგნში გაეცნობით მასალებს ჩვენი მასწავლებლების დისტანციური გაკვეთილებიდან. ეს გაკვეთილები, უკეთესი ორიენტირებისთვის, რამდენიმე ნაწილად გავყავით. უსაფრთხოების გაკვეთილები, რომლებიც საკლასო ოთახებში შეგვეშველებიან, გაკვეთილები მშობლებისთვის და უსაფრთხოების გაკვეთილები.

– ახლახან მასწავლებლებს „სხვა გაკვეთილების ცხრილი“ შესთავაზეთ, რას ნიშნავს სხვა გაკვეთილები?

– ეს სათაური – სხვა გაკვეთილების ცხრილი – შემთხვევითი არ გახლავთ... ნაფიქრია... მკითხველის დაბნევა არ გვიცდია. ეს ჩვეულებრივი გაკვეთილების ცხრილია, ტრადიციული საგაკვეთილო ჩამონათვალით. უბრალოდ, ამ ჩამონათვალში არსად წერია კონკრეტული საგნების დასახელება. აქ, სინამდვილეში, ყველა დისციპლინაა, რომელსაც სკოლაში ვასწავლით, თითოეული მათგანისთვის აუცილებელი შინაარსით. თუ თქვენ ქიმიის, ფიზიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ხატვის, მუსიკის თუ რომელიმე სხვა საგნის მასწავლებელი ხართ, ეს წიგნი თქვენთვისაა. აქ აუცილებლად იპოვით თქვენთვის მნიშვნელოვან წერილებს. როგორც შეგპირდით, ყველა საგანს თან ახლავს თვითშეფასების, წიგნიერების, მედიაწიგნიერების, ტოლერანტობის, ძალადობის გადალახვის, მშობლებისა და შვილების და ჩვენი მასწავლებლების პასუხისმგებლობიდან თავისუფლებამდე და პირიქით გასავლელი გზისთვის საჭირო მინიშნებები. ეს წიგნი ნდობაზეა. სხვაგვარად არაფერი ისწავლება.

– და წლევანდელი მესამე გამოცემა – „ვწერ მასწავლებლისთვის!“. რეალურად, ამ სერიის ყველა წიგნი მასწავლებლისთვის იწერება, რითი განსხვავდება სხვა წიგნებისგან და რატომ გამოკვეთეთ ასეთი სათაური?

– მასწავლებლის პროფესიაში ხშირია დილემების წინაშე დგომა, ხშირია გზაჯვარედინები. თითოეულ ჩვენგანს ჩვენი სკოლა და მასწავლებელი გვახსოვს. გვახსოვს ყველა სიხარული და წყენა, ყველა შიში. ჩვენ დღესაც ვსწავლობთ. ვსწავლობთ ჩვენი და სხვების გამოცდილებით.

ეს წიგნიც მასწავლებლისთვის დაიწერა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ მათი საკითხავი ან დამხმარე ლიტერატურაა.

მეტი დამაჯერებლობისთვის შევეცდები ავხსნა: სკოლის გზის საიდუმლოება; ჰოდა, ჩვენი ქვეყანა ეს არის; ენა და ჩვენა, ანუ ჩვენ და ენა; დამოუკიდებლობა და თავისუფლება; რა აინტერესებს მას, ვისაც არაფერი აინტერესებს; გზაზე ერთი ბიჭი მიდიოდა; სად არიან შვილები, შვილები სად არიან?; სკოლის სევდა; მკვდარი პოეტების საზოგადოება; ახლომხედველის მეხსიერება; მამის ლოცვები; პატრიოტიზმი და პროფესიული ეთიკა; იტირე? მადლი გიქნია; „ყველასაც თურმე ენა აქვს“, ანუ როგორ საუბრობენ მოლეკულები; მასწავლებლის სევდა; სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლება; ორიენტირი; ცრუპენტელა აღმზრდელი; მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა; მასწავლებელი; „თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს“; ახლომხედველი ბავშვი სკოლაში; განსაზღვრება, ადამიანები; მშობლები, შვილები, მასწავლებლები; ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები; რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა; არასწორი ვალდებულებები გოგონებისთვის; უკან, სკოლაში; რისგან უნდა დავიცვათ ბავშვი; როგორი მომავალი გვინდა; რას ველი მასწავლებლისგან; მეგობრობა, როგორც პასუხისმგებლობა; ბავშვების მოწყენილობის მიზეზები; კითხვები მასწავლებლებისთვის; გოგოების ვალდებულებები – გამეორება, შეცდომების გასწორება; თეთრი საყელო, ანუ რამდენიმე ეპიზოდი მოსწავლე გოგონას ცხოვრებიდან; ომის ბავშვები; შიშების დაძლევის შესახებ; ნდობა და სხვა წამლები; განსხვავებულობის შესახებ; ჩვენი წილი პასუხისმგებლობა; დევნილობის ამბები; მასწავლებლის შვილი; მასწავლებელი სოფლის სკოლისა; ვის ეძღვნება ილია ჭავჭავაძე?; ძმები ერთ კლასში; რატომ გვჭირდება პოლემიკა; ნორმალური მოსწავლეები, ნორმალური მასწავლებლები და ჰოგვორტსი; როგორ მოვატყუოთ მასწავლებლები; სიკეთის წილი საწერი; შვლის ნუკრებისთვის ადგილი აქ არ არის; ქორწილამდე მოგირჩება; ვინ გინდა გამოხვიდე?; აუცილებლად წასაკითხი წიგნების შესახებ; სასკოლო ზეიმების სევდა; შეცდომების მდინარე; სხვების ბავშვობა; ამტანობის შესამოწმებელი ტესტები; „ბავშვების საათი“: მორალური და ამორალური; განათლების სისტემის ოქროს რგოლი; მასწავლებელი ქალები დამფუძნებელ კრებაში; მასწავლებელი სამოქალაქო პოზიციით; მასწავლებლობიდან მსოფლიოს ლიდერობამდე; სიტყვის თავისუფლების დილემა; მასწავლებელი როგორც მსხვერპლი; უკანა მერხის ბავშვები; სხვისი შრომა, ანუ ირიბად მასწავლებლებზეც; როცა კლასში დაუმორჩილებელი მოსწავლე ზის; ვკითხულობთ მხოლოდ მასწავლებლები; ვის ელაპარაკებიან ჩვენი შვილები?; უმამოდ გაზრდილი გოგოების ამბავი; სად არიან ის ძლიერი გოგონები ჩვენი ბავშვობიდან?; მასწავლებლის ცხოვრება და შეცდომები...

ეს სხვადასხვა ავტორის წერილების სათაურების ნაწილია, რომელიც ამ წიგნმა გააერთიანა. სათაურებიც ამბობენ, თუ რამდენი დილემაა ჩვენ წინაშე. სწორედ მათ გადალახვაში შემოგვეშველება ეს წიგნი.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

მასწავლებლის წიგნების ელექტრონულად წაკითხვა და ჩამოწერა შესაძლებელია ბმულზე:
http://mastsavlebeli.ge/?cat=34

გარე დაკვირვების გაკვეთილი

ნათია ბოლქვაძე
ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

საგანი: ბუნებისმეტყველება
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, მე-3 კლასი
მოსწავლეთა (მათ შორის სსსმ მოსწავლეთა) რაოდენობა: 32, მათ შორის არ არის სსსმ მოსწავლე.
გაკვეთილის თემა: რით და როგორ იკვებებიან ძუძუმწოვრები?
გაკვეთილის მიზანი:
მოსწავლე შეძლებს:
- **დააჯგუფოს** ძუძუმწოვრები კვების თავისებურებების მიხედვით (იკვებება ცხოველებით, იკვებება მცენარეებით, იკვებება ყველანაირი საკვებით).
- **დააკვირდეს** და **აღწეროს** ცხოველების გარეგნული ნიშანი (მაგ: სხეულის ფორმა, საფარველი, კიდურები, კბილები).

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან: დაგეგმილი გაკვეთილი შეესაბამება III კლასის საფეხურებრივი სტანდარტის შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს. გაკვეთილის თემა ემთხვევა კალენდარულ გეგმას. სასწავლო მიზანი შეესაბამება გაკვეთილის თემას და ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარება-ჩამოყალიბებას.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილება სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	**აქტივობის მიზანი:** კლასის მობილიზება **აქტივობის აღწერა:** საორგანიზაციო ნაწილი მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, ქცევის წესებს და შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელი დაფაზე აკრავს გაკვეთილის თემას, მიზანს. ახსენებს კლასში მოქცევის წესებს. უხსნის, თუ როგორი ფორმებით მოუწევთ მუშაობა, განიხილავს შეფასების რუბრიკებს.	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	კედელზე გაკრული თაბახის ფურცელზე წერია თემა და მიზანი, მისი საშუალებით მოსწავლეები იგებენ, რაზე ისაუბრებენ, რუბრიკები მისცემთ საშუალებას, იცოდნენ, რის მიხედვით შეაფასებს მასწავლებელი. ეს ყველაფერი ხელს უწყობს გაკვეთილის ორგანიზებულად ჩატარებას.	2წთ
2	**აქტივობის მიზანი:** წინარე ცოდნის გააქტიურება (საშინაო დავალების ურთიერთშეფასება). **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს მითითებას, საშინაო დავალების რვეულები გადააწოდონ მეწყვილეს, შეაფასონ ერთმანეთის საშინაო დავალება და შეადარონ თავიანთ ნამუშავარს.	ურთიერთშეფასება	წყვილები	საშინაო დავალების რვეული	5წთ
3	**აქტივობის მიზანი:** წინარე ცოდნის გააქტიურება. მოსწავლემ გაიხსენოს რატომ წარმოქმნის მცენარე შაქარს? **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სვამს შეკითხვას: • რა სჭირდება მცენარეს ფოთოლში საკვების წარმოსაქმნელად? • რით იკვებება ძაღლი? • კატა? • ძროხა? მოსწავლე იხსენებს და გასცემს პასუხებს. აქტივობის საშუალებით მოსწავლეები გაიხსენებენ შესწავლილ მასალას და საკუთარი გამოცდილებით (შინაური ცხოველების გამოკვება) უპასუხებენ შეკითხვებზე. აქტივობა მოსწავლეს ახალი ცოდნის აგებაში დაეხმარება.	კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო		5წთ
4	**აქტივობის მიზანი:** ვარაუდების გამოთქმა თემასთან დაკავშირებით. ლოგიკური კავშირის პოვნა ნიშან-თვისებისა და კვების თავისებურების მიხედვით. **აქტივობის აღწერა:** **ნაბიჯი I** მასწავლებელი კლასს ჰყოფს ჯგუფებად. ჯგუფებს ურიგებს ცხოველების ილუსტრაციებს და ბარათებს საინფორმაციო ტექსტით.	„ჭკვიანი მოზაიკა“ თანამშრომლობით სწავლება	ჯგუფური სამუშაო	ცხოველების სურათები. ბარათები საინფორმაციო ტექსტით. რესურსი მოსწავლეს მეტაკოგნიტურ უნარებს განუვითარებს.	10წთ
	აძლევს მკაფიო მითითებას: ცხოველს შეუსაბამონ საჭირო ტექსტი. მოსწავლე გამოიცნობს ცხოველს, წაიკითხავს ტექსტს და დააკავშირებს ლოგიკურად დააკრავს ტექსტს სურათზე. აქტივობა მოსწავლეს განუვითარებს ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარს. დაკვირვების შედეგად, შეძლებს სწორ კლასიფიცირებას.				
5	**აქტივობის მიზანი:** ძუძუმწოვარი ცხოველების დაჯგუფება კვების თავისებურების მიხედვით. **აქტივობის აღწერა:** **ნაბიჯი II** „ჭკვიანი მოზაიკის“ დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს მითითებას, დაწყვილებული ილუსტრაცია და ტექსტი განათავსონ დაფაზე გაკრულ სქემაში (მცენარისმჭამელი, ნაირმჭამელი, ხორცისმჭამელი). მოსწავლის პრეზენტაცია – ასახელებს ცხოველს და შექმნილ ბარათს მიაკრავს სქემაში. მასწავლებელი აძლევს უკუკავშირს.	სქემის შევსება პრეზენტაცია	ინდივიდუალური	სქემა ცხოველების კვების კლასიფიკაციისთვის. წებო. „ჭკვიანი მოზაიკის“ ბარათები. რესურსი მოსწავლეს მეტაკოგნიტური უნარის განვითარებაში დაეხმარება.	10წთ
6	**აქტივობის მიზანი:** საინფორმაციო ტექსტის შევსება. საინფორმაციო ტექსტის შექმნა. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეს ურიგებს ბარათებს გამოტოვებული სიტყვებით. აძლევს მითითებებს: წაიკითხოს, დაფიქრდეს, გაიხსენოს და ჩაწეროს საჭირო სიტყვა. ტექსტის შევსების შემდეგ, შეფასდება აქტივობა. მასწავლებელი წაიკითხავს სწორ ვარიანტს, მოსწავლე ადარებს და აკეთებს დასკვნებს.	საინფორმაციო ტექსტის შევსება	ტრიადები	სიტყვაგამოტოვებული ტექსტი. კალამი დანართი №2 რესურსის საშუალებით მოსწავლე შეაჯამებს, გააერთიანებს და გამოიყენებს ცოდნას. შექმნის ახალ ტექსტს.	5წთ
7	**აქტივობის მიზანი:** **საშინაო დავალება** დამოუკიდებლად მუშაობის, პასუხისმგებლობის უნარისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება. **აქტივობის აღწერა**: სახელმძღვანელო გვ.35/123 სავ.№3 მასწავლებელი აძლევს მკაფიო მითითებას დავალებასთან დაკავშირებით.	ილუსტრაციის გამოყენებით ტექსტის დასრულება	ინდივიდუალური	სახელმძღვანელო გვ.35/123 სავ.№3	3წთ
8	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებში თვითშეფასების განვითარება, პრობლემების აღმოჩენა/აღმოფხვრა. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, აჯამებს გაკვეთილს, შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას გაკვეთილზე ჩართულობის შესახებ.	სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი	საერთო საკლასო	შეფასების რუბრიკა დანართი №1	5წთ

შეფასების ტიპები და მეთოდები: განმავითარებელი, დაკვირვების მეთოდი, ანალიტიკური შეფასების რუბრიკა

ბუნ.III.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ძუძუმწოვრების ზოგადი დახასიათება
- აკვირდება და აღწერს ცხოველების ზოგიერთ გარეგნულ ნიშანს (მაგ., სხეულის ფორმა, საფარველი, კიდურები, კბილები) და უკავშირებს მათი ცხოვრების ნირსა და საარსებო გარემოს (მაგ., ხმელეთი, წყალი, ჰაერი, ქვიშიანი უდაბნო, მთა) თავისებურებებს.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:
- **დააჯგუფებს** ძუძუმწოვრებს კვების თავისებურებების მიხედვით (იკვებება ცხოველებით, იკვებება მცენარეებით, იკვებება ყველანაირი საკვებით).
- **დააკვირდება** და **აღწერს** ცხოველებს გარეგნული ნიშნის მიხედვით (მაგ: სხეულის ფორმა, საფარველი, კიდურები, კბილები).
- **უპასუხებს** კითხვებს.
- **შეავსებს** სქემებს.
- **გაიუმჯობესებს** თანამშრომლობის უნარებს.

დანართი 1.

კრიტერიუმები	გასაუმჯობესებელი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
ძუძუმწოვარი ცხოველების კლასიფიკაცია კვების თავისებურების მიხედვით	გაუჭირდა ძუძუმწოვარი ცხოველების კლასიფიკაცია კვების თავისებურების მიხედვით.	ნაწილობრივ შეძლო ძუძუმწოვარი ცხოველების კლასიფიკაცია კვების თავისებურების მიხედვით.	მცირე ხარვეზით შეძლო ძუძუმწოვარი ცხოველების კლასიფიკაცია კვების თავისებურების მიხედვით.	უშეცდომოდ შეძლო ძუძუმწოვარი ცხოველების კლასიფიკაცია კვების თავისებურების მიხედვით.
გამოტოვებული სიტყვების ჩასმა საინფორმაციო ტექსტში	გაუჭირდა გამოტოვებული სიტყვების ჩასმა საინფორმაციო ტექსტში.	ნაწილობრივ შეძლო გამოტოვებული სიტყვების ჩასმა საინფორმაციო ტექსტში.	მცირე ხარვეზით შეძლო გამოტოვებული სიტყვების ჩასმა საინფორმაციო ტექსტში.	უხარვეზოდ შეძლო გამოტოვებული სიტყვების ჩასმა საინფორმაციო ტექსტში.

გარე დაკვირვების გაკვეთილი

დანართი 2.

ზოგიერთი ცხოველი სხვა ცხოველით იკვებება. ასეთ ცხოველებს ———————— ჰქვია. ცხოველი რომელიც ნადირობს, იჭერს და ჭამს სხვა ცხოველს ————————, ხოლო ნადავლ ცხოველს ———————— ჰქვია.

ზოგიერთი ცხოველი მხოლოდ მცენარეების ნაწილებით იკვებება, მათ ———————— ცხოველები ჰქვია.

ცხოველები, რომლებიც როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური საკვებით იკვებებიან ————————- ცხოველებია.

ნაირმჭამელი, ნადავლი, მტაცებელი, მცენარისმჭამელი, ხორცისმჭამელი.

გაკვეთილის რეფლექსია

როცა გარე დაკვირვება ბუნებაში გადავწყვიტე, კოლეგები მისვამდნენ კითხვას: რატომ ბუნება?

გამოცდილებამ მაჩვენა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები, საგნის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე, ყველაზე დაბალ შედეგებს ბუნებათმცოდნეობის კომპონენტში იღებენ. გაკვეთილებს კი ისეთი მრავალფეროვანი მეთოდებითა და რესურსებით არ ან ვერ ატარებენ, როგორითაც ქართულს ან მათემატიკას. შესამაბისად, მინდოდა გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ. გარდა ამისა, ზოგადად, ხშირად ვხედავ ბუნებისმეტყველების სწავლებისას ისეთი მეთოდის გამოყენებას, როგორიცაა უბრალოდ სახელმძღვანელოებში არსებული ინფორმაციის „მშრალად“ მიწოდება, რაზეც ყოველთვის პროტესტისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მეუფლება ხოლმე. მაღალ კლასებში კი ის პედაგოგები, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ასწავლიან, ყოველთვის უკმაყოფილონი არიან იმით, რომ დაწყებითი კლასებიდან ბავშვები ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების არქონითა და სიმწირით გადადიოდნენ.

ჩემი გაკვეთილის თემა იყო: რით და როგორ იკვებებიან ძუძუმწოვარი ცხოველები.

მიზნები: მოსწავლეებს უნდა დაეჯგუფებინათ ძუძუმწოვრები კვების თავისებურებების მიხედვით. დაკვირვებოდნენ და აღეწერათ ცხოველები გარეგნული ნიშნის მიხედვით. ეპასუხათ შეკითხვებზე. შეევსოთ სქემები და საინფორმაციო ტექსტში ჩაესვათ საჭირო ტერმინები. გაეუმჯობესებინათ თანამშრომლობის უნარები.

მიზნის მისაღწევად დავსახე ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს თავად მიიყვანდა დასკვნების გაკეთებამდე, აღმოჩენებისა და ლოგიკური დასკვნების გზით მიიყვანდა მიზნამდე. ვეცადე, აქტივობები ყოფილიყო საინტერესო, ერთმანეთთთან ლოგიკურად დაკავშირებული და, შესაბამისად, მიზანზე ორიენტირებული.

მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობით დავიწყე გაკვეთილი. მოსწავლე მეტად აქტიურია, როცა იცის რას გააკეთებს გაკვეთილზე. კრიტერიუმებში ჩაშლილი გაკვეთილის მიზნები დავაკავშირე „წარმატების კიბესთან“, რომელიც საფეხურების მიხედვით შეესაბამება შეფასების კრიტერიუმებს. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად დაგეგმილი მქონდა 2 აქტივობა:

№1 – საშინაო დავალება, რომლის შესრულების ხარისხიც შევამოწმეთ წყვილებში და შემდეგ დაფასთან, თვალსაჩინოდ. ურთიერთშეფასებისა და ჩემი უკუკავშირის ფონზე, მიზანთან კავშირში, ჩაიარა აქტივობამ.

№2 – კითხვებზე პასუხებით, მოსწავლეებს გავახსენე მცენარის ფოტოსინთეზთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე, საკუთარი გამოცდილების მაგალითებზე, დაასახელეს საკვები, რითაც კვებავენ შინაურ ცხოველებს. პასუხები დავაკავშირე გაკვეთილის თემასთან და მიზანთან. კითხვა-პასუხისას კლასი იყო აქტიური. შესაბამისად, ისინი ახალი ცოდნის შესაძენად მოვამზადე.

№3 – ახალი ცოდნის კონსტრუირება მოსწავლეებისთვის შევეცადე არაპირდაპირი სწავლების მეთოდით მიმეწოდებინა. „ჭკვიანი მოზაიკა“ – ასე დავარქვი აქტივობას, რომლის საშუალებითაც ტექსტი/მინიშნება უნდა დაეკავშირებინათ და დაეკრათ შესაბამის ცხოველთან. ჩემი მიზანი იყო, ლოგიკური დასკვნების უნარის განვითარება და ინტერესის გაღვივება. აქტივობა იყო მოსწავლისთვის საინტერესო, ჯგუფებმა იმუშავეს ორგანიზებულად. ყურადღებით მოისმინეს ინსტრუქცია და, შესაბამისად, არ გაუჭირდათ დავალების შესრულება. დავალება მოითხოვდა რამდენიმე ეტაპის გავლას: ტექსტის წაკითხვას, ცხოველის ამოცნობას და მიკვრას. ჯგუფებმა იმუშავეს ორგანიზებულად და დავალება შეასრულეს დროულად. ჩემი გამოცდილებით, ამ ტიპით მიწოდებული საინფორმაციო ტექსტი იწვევს ინტერესს და ჩართულობის ხარისხიც მაღალია.

№4 – „ჭკვიანი მოზაიკის“ I ეტაპის დასრულების შემდეგ, ჯგუფების პრეზენტაციების დრო დადგა. კლასში 5 ჯგუფი შედგა და, ჩემი მითითების შესაბამისად, თითოეულიდან, 3 პრეზენტატორი გამოდიოდა. რადგან კლასი მრავალრიცხოვანია, ვეცადე, მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, 3 პრეზენტატორზე გადამენაწილებინა დავალება. კითხულობდნენ ტექსტს, ასახელებდნენ ცხოველს და აკრავდნენ ე.წ. პოსტერზე (ნაირმჭამელი, ხორცისმჭამელი, მცენარისმჭამელი). ვიძლეოდი უკუკავშირს თითოეული პრეზენტაციის შემდეგ და იმავე ჯგუფის წევრებს ვაფასებინებდი აქტივობის მიზანს, ჩართულობის ხარისხს... ეს აქტივობა გაკვეთილის საინტერესო ნაწილი იყო. ჩემმა მოსწავლეებმა ბევრი უნარის (პრეზენტაციის, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების) გამოვლენა შეძლეს...

№5 – საინფორმაციო ტექსტის შევსება. ძალიან მინდოდა, ამ აქტივობის შესრულება მომესწრო გაკვეთილზე, მაგრამ ვფიქრობდი, თუ ჯგუფებს განსაზღვრულზე მეტი დრო დასჭირდებოდათ ან პრეზენტაციები, თავისი უკუკავშირით, გაგრძელდებოდა დროში, მას საშინაო დავალებად გადავიტანდი. ცვლილების განხორციელება არ დამჭირდა. გაკვეთილი იყო თანაბრად დინამიური. ვფიქრობ, გაჯერებული მოსწავლისთვის გასაგები და მიზანზე ორიენტირებული უკუკავშირით. გაკვეთილის ამ მონაკვეთში დამჭირდა საგაკვეთილო დროის გადამოწმება, თუმცა, არ შემიფერხებია პროცესი. დავალება ტრიადებში დავარიგე და ჩემმა მოსწავლეებმა შეძლეს, ერთი მარტივი ინსტრუქციის მიცემის შემდეგ, შეესრულებინათ დავალება. ტექსტის სისწორე შავაფასეთ და დაფაზე გაკრული თვალსაჩინო ტექსტით მოსწავლეებმა შეძლეს დავალების შესრულება. ამ დავალების გაკვეთილზე დასრულება ჩემთვის მნიშნელოვანი იყო, რადგან მისი შესრულების ხარისხით შევაჯამე გაკვეთილის მიზანი.

№6 – საშინაო დავალება გამზადებული მქონდა თვალსაჩინო ფურცელზე. შესაბამისად, მოსწავლეებს გაუადვილდათ გვერდის, თემისა და დავალების ნომრის ჩანიშვნა, მე კი დრო საჭიროებისამებრ გამოვიყენე. გადახედეს დავალებას, პირველი კითხვა წავიკითხე და პასუხებით დავრწმუნდი, დავალების შესრულება არ გაუჭირდებოდათ.

№7 – გაკვეთილის შეფასებისას, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ მივაქცევინე ყურადღება მიზნისა და შეფასების კრიტერიუმებზე. მოსწავლეები განმავითარებელი კომენტარებით შევაფასე, გაკვეთილი მიზნების შესაბამისად. გამოვიყენე მოსწავლეებში ურთიერთშეფასება და თვითშეფასება. ბოლოს ფერად ფურცლებზე დაწერეს გაკვეთილის შეფასება: რომელი აქტივობა მოეწონათ, რა იყო საინტერესო და ა.შ. ფურცლები „წარმატების კიბეზე“ მიაკრეს. აქვე ვიტყვი, რომ მათი თვითშეფასება იყო მაღალი. თავი არავინ გაიმეტა საშუალო ან გასაუმჯობესებელი საფეხურებისთვის. ვფიქრობ, უკუკავშირისას უფრო „გაბედულად“ უნდა დავასახელო მოსწავლეები, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. თუმცა, ამ კონკრეტულ გაკვეთილზე ვეცადე, ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამეკეთებინა და არ დამეტოვებინა მოსწავლე ჩართვის გარეშე. აქ ორი მოსწავლე მინდა გავიხსენო: რუსულენოვანი და სომხურად მოლაპარაკე, თუმცა ორივე, ენის ბარიერის მიუხედავად, აქტიურები იყვნენ საგაკვეთილო პროცესში.

რამდენიმე სიტყვით რესურსების შესახებ. ამ მხრივ, ეს გაკვეთილი გამოირჩეოდა თავისებურებით. აქტივობების განხორციელებით მოსწავლეებმა „შექმნეს პროდუქტი“. შექმნილი რესურსი დაინტერესებს კოლეგებს, ისინი შეძლებენ მის გამოყენებას. პოსტერის საშუალებით შესაძლებელია გამოიწვიო თემის მიმართ დაინტერესება.

ვფიქრობ, ჩემს გაკვეთილზე მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენილა. კმაყოფილი ვარ მიღწეული შედეგებით. იმავე გაკვეთილის ჩატარების შემთხვევაში, თითქმის არაფერს შევცვლიდი.

თვალსაზრისი

ენგურს მიღმა დილა სხვანაირად თენდება

„მთავარი ის კი არ არის, ვართ თუ არა ვინმესთან კონფლიქტში, მთავარია – რას ვუშვებით კონფლიქტს და რას ვქმნით მისგან.“
თომას. ფ. კრუმი

„ძველ დროს“ მონატრებული საბჭოთა თაობის მუდმივი ტრავმა და ტკივილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და „მონატრებული აფხაზეთის“ დაბრუნების საკითხი. ცუდად არ გამიგოთ, ქართველი ხალხისთვის ტერიტორია ყოველთვის იყო იდენტობის მთავარი მარკერი და, ბუნებრივია, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა დაუძლეველ ტრავმად დარჩა როგორც ძველ, ისევე ახალ თაობაში. ამ პატარა ბლოგით არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებულ (უპასუხოდ დარჩენილ) კითხვებზე პასუხის გაცემას ვცდილობ და არც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ანალიზს. მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც არც აფხაზეთის სილამაზე უნახავს და არც „ტკბილი წარსული“ ახსოვს. იმ თაობის, რომლისთვისაც რეალურად აფხაზეთი მხოლოდ ისტორიის წიგნში ამოკითხული და სხვა თაობების მიერ გამოთქმული ზღაპარია, სადაც ძირითადად ტერიტორიული დანაკლისია აღნიშნული და აფხაზ ხალხზე მხოლოდ გაკვრით არის საუბარი.

1990-იანი წლების მოვლენებმა აფხაზებსა და ქართველებს დიდი ზიანი მოუტანა. საქართველომ აფხაზეთის ტერიტორია დაკარგა, დაიწყო ე.წ. ქართულ-აფხაზური პოსტკოლონიური კონფლიქტი. ბუნებრივია, ტერიტორიის დაკარგვამ გამოიწვია ქართველი ხალხის იდენტობის რღვევა და ხალხის ცნობიერებაში დაუძლეველ ტრავმად დაილექა. ენტონი სმიტი თავის წიგნში „ნაციონალური იდენტობა“, საუბრობს ისტორიული მიწის მნიშვნელობაზე ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში. სმიტის აზრით, ხალხი და ტერიტორია ეკუთვნის ერთმანეთს. ამ კუთხით, ნებისმიერი მიწის მიმართ კი არ არსებობს კუთვნილება, არამედ იგი უნდა წარმოადგენდეს „ისტორიულ მიწას“, სამშობლოს, ხალხის „აკვანს“. „ისტორიული მიწა“ წარმოადგენს თაობების მიერ ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებას ადამიანსა და ტერიტორიას შორის (Smith, 1991, 19). შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიის დაკარგვამ მეტად განსაზღვრა ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულ პროცესებს დაემატა აფხაზურ-ქართული კონფლიქტი და 1990-იანი წლების ტრაგიკული მოვლენები სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს ცნობიერებაში. თუმცა, ამ მოვლენების მხოლოდ ერთი გადმოსახედიდან შეფასება არ მიმაჩნია სწორად და აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აფხაზი ხალხი არის ომგამოვლილი, ტრავმირებული საზოგადოება, რამაც მეტწილად განსაზღვრა აფხაზური ნაციონალური იდენტობის ფორმირება. კონფლიქტის შედეგად აფხაზებმა დაკარგეს უზარმაზარი ადამიანური კაპიტალი, განადგურდა ეკონომიკა. ამ მოვლენების გათვალისწინებით, როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ საზოგადოებაში შეიქმნა ერთმანეთის საპირისპირო ნარატივი, რამაც ხალხის გაუცხოება გამოიწვია. ისტორიკოსები ხშირად მიმართავენ წარსულის რეკონსტრუქციის, წარსულის ნარატივის გამოყენებას აწმყო იდენტობის განსასაზღვრად. შესაბამისად, თაობები იზრდებიან ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებზე, სადაც აფხაზებისთვის საქართველო მუდმივი საფრთხის წყაროა, ხოლო ქართველებისთვის აფხაზეთი სანატრელი და დაკარგული ტერიტორია. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ არის ჩემი თაობის აფხაზ და ქართველ ახალგაზრდებს შორის არსებული „ხიდჩატეხილობის პრობლემა“.

დღევანდელ სიტუაციას თუ გადავხედავთ, სრულიად სამართლიანად შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი თაობისთვის აფხაზებსა და ქართველებს შორის თანაცხოვრების გზების ძიება მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. მახსოვს, სანამ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი და უფრო დეტალურად შევისწავლიდი აფხაზეთის კონფლიქტს, სრულიად გაუცნობიერებლად, ემოციური კავშირის გარეშე, მჯეროდა აფხაზეთის დაბრუნების იდეის, რომელიც ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებაში დაილექა როგორც აუცილებლობა. თუმცა, ბევრი ფიქრისა და თანატოლებთან საუბრის შემდეგ, გონებაში მხოლოდ ერთი დებულება მიტრიალებს – მაშასადმე აფხაზეთი საქართველოა, მაგრამ აფხაზები ქართველები არ არიან. როგორ დავიბრუნოთ ტერიტორია, სადაც თაობები იზრდებიან იმ იდეით, რომ საქართველო მტერია, არც ქართული ენა იციან და აფხაზეთის ომის შესახებ განსხვავებულ ისტორიებს ისმენენ. კიდევ ერთი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია, არის ქართველი ხალხის ზოგადი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ქართველებს ენატრებათ აფხაზეთი, თუმცა აფხაზ ხალხთან ურთიერთობის აღდგენაზე ნაკლებადაა საუბარი, რაც საშუალებას მაძლევს დავსვა კითხვა – თუ აფხაზეთი საქართველოს ნაწილად ითვლება და თუ ის სანატრელი დაკარგული ტერიტორიაა, რომლის დაკარგვამ დაუძლეველი ტრავმა მოგვაყენა და იდენტობა დაგვირღვია, და თუ აფხაზეთში მცხოვრებ ხალხს საქართველოს ნაწილად მივიჩნევთ, მაშინ რატომ არ გვინდა გავაცნობიეროთ და მივიღოთ ის ფაქტი, რომ ამ ხალხს შეიძლება განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ? რატომ არ ვეძებთ კომუნიკაციის დამყარების გზებს? რატომ არის ჩვენი თაობისთვის აფხაზეთი მითი და როგორ აზროვნებენ ჩვენი თაობის აფხაზი ახალგაზრდები?

აფხაზებზე ფიქრისას, მხოლოდ ჩვენი თაობის აფხაზები წარმომიდგება თვალწინ, სურათი ბუნდოვანია და, სავარაუდოდ, არც რეალობას შეესაბამება. მე აფხაზ თანატოლებთან კავშირი არ მქონია, ვიცნობ აფხაზეთიდან დევნილებს, მათ შვილებს და შვილიშვილებს, რომელთა ცნობიერებაში აფხაზეთის დაკარგვა უფრო მტკივნეულად დაილექა, ვიდრე ჩვენში. ვიცნობ ხალხს, რომელიც ნამყოფია აფხაზეთში და მუდმივად იქაურ სილამაზეს აქებს, ვიცნობ ხალხს, რომელიც დღევანდელ სიტუაციას სხვადასხვაგვარად აფასებს, მაგრამ არ ვიცნობ აფხაზეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ისევე როგორც, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი თაობის წარმომადგენელი.

ამიტომ, მინდა საკუთარ თავს დავუსვათ შემდეგი კითხვები – საკმარისია ზღაპრად ქცეული აფხაზეთის სურათების დათვალიერება ან კოლექტიურ ცნობიერებაში დალექილი ტრავმის გაზიარება? რას გვაძლევს ეს ახალ თაობას? როგორ დავიბრუნოთ ტერიტორია თუ ხალხთან არანაირი ემოციური (აზრობრივი) კავშირი არ გვაქვს? რატომ არ ვეძებთ მშვიდობისკენ მიმავალ ალტერნატიულ გზებს? რატომ ვერ ვიაზრებთ რომ ჩვენი თაობა, ისევე როგორც აფხაზი ახალგაზრდები, განსხვავებულ ისტორიაზე იზრდებიან და განსხვავებულ ნარატივს ისმენენ, რაც მომავალში ისედაც დაშორებულ ხალხს უფრო დაგვაშორებს? რა მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენი თაობა იქნება კონფლიქტის წარმმართველი, ჩვენ კიდევ ერთმანეთის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რაც მეხსიერების პოლიტიკის ნაწილია? რა მოხდება მაშინ, თუ ჩვენ თავს ავარიდებთ დიალოგს და არ გავეცნობით განსხვავებულ მოსაზრებებს? და მართლაც გვემუქრება საფრთხე იმისა, რომ მომავალმა თაობებმა სრულიად სამართლიანად დაგვისვან კითხვა – **აფხაზეთი საქართველოა?**

სალომე ასანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, კულტურის კვლევების მიმართულება, მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი

პირველ გვერდზე ფოტო: თემურ ბართავა

წყარო: https://emc.org.ge/ka/products/engurs-mighma-dila-skhvanairad-tendeba

სამოდელო გაკვეთილი

დავით აღმაშენებელი და მისი ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ

საგანი: ისტორია
კლასი: მე-9
გაკვეთილის თემა: დავით აღმაშენებელი და მისი ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ (საქართველოს გაერთიანების დასასრული)
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეს ეცოდინება ვინ უშლიდა ხელს საქართველოს საბოლოო გაერთიანებას და როგორ შეძლო დავით აღმაშენებელმა მათი დამარცხება

სოფია აბრამიანი
სსიპ ქ. ახალციხის №3 საჯარო სკოლის
უფროსი მასწავლებელი

Դասի պլան

Ախալցիխեի №3 հանրային դպրոց
Բազային աստիճան: IX դասարան
24 աշակերտ (սսսմ աշակերտ չկա)
Առարկա: Պատմություն
Ուսուցիչ: Սոֆյա Աբրահամյան
Դասի թեման: Դավիթ Շինարարը և նրա պայքարը թուրք սելջուկների դեմ (Վրաստանի միավորման ավարտը)
Դասի նպատակը
- Աշակերտ պետք է իմանա, թե ի՞նչր և ո՞վքեր էին խանգարում Վրաստանի վերջնական միավորմանը, և ինչպե՞ս կարողացավ Դավիթ Շինարարը հասել դրան:
- Աշակերտը կիմանա. թե ինչը նպաստեց Վրաստանի պետականության վերականգմանը:
- Աշակերտը կիմանա արտաքին քաղաքականության դերն ու նշանակությունը երկրի ներքին քաղաքականության հակամարտության կարգավորման հարցում:

Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչը.
Պատմություն.
Աշակերտը կարող է ներկայացնել Դավիթ Շինարարի թագավորման ժամանակահատվածը: Հասկանում է Դավիթ Շինարարի թուրքերի դեմ պայքարելու անհրաժեշտությունը և կարևորությունը: Ընկալում է դրա պատճառը և հետևանքները:Մտավոր գրոհի միջոցով պարզել աշակերտների ունեցած նախնական գիտելիքը Դավիթ Շինարարի և նրա վարած քաղաքականության վերաբերյալ: Իմացած գիտելիքի և նորի միջև կամուրջ կառուցել:

Ժամանակ	Դասի փուլերը	Ակտիվության մեթոդը և նպատակը	Աշակերտների ակտիվություններ	Աշխատանքի սոցիալական ձևերը	Ուսումնական նյութեր և օժանդակ աղբյուրներ	Ուսուցչի ակտիվություն
3р.	Դասի սկիզբ	Դասի նպատակին գնահատման չափորոշիչների ծանոթա ցում:	Լսում և նախապատրաստվում են դասին:	Ամբողջ դասարանը	Նախօրոք գրված և մշակված գնահատման աղյուսակ	Աշակերտներին ծանոթացնում ենք դասի նպատակին և գնահատման չափորոշիչներին:
10 ր.	Խթանման փուլ Խթանել, հետաքրքրել, ոգևորել,մղել աշակերտներին, վերհիշել իրենց իմացածը	Նախնական գիտելիքի ակտիվացում «մտավոր գրոհի» միջոցով	Աշակերտները ակտիվորեն փորձում են վերհիշել թեմայի մասին իրենց ունեցած ինֆորմացիան:	Ամբողջ դասարան	Գրաֆիկական կազմակերպիչ	Աշակերտներին տրվում հարցեր. 1. Ինչ գիտեք Դավիթ Շինարարի մասին: 2. Ի նչ ռեֆորմներ է Դավիթ 4–րդ անցկացրել: 3.Ինչու անհրաժեշտ եղավ ռեֆորմներ անցկացնել:
10 ր	Դասի ընթացք Հակիրճ դասախոսություն	Նոր դասի բացատ րում	Աշակերտները ուշադիր լսում են և իրենց համար կարևոր նշումներ անում հետաքրքիր փաստերի վերաբերյալ:	Ամբողջ դասարան	Պրոեկտոր Համացանց Սլայդշոու Պլակատներ Նկարներ Քարտեզներ Դիդակտիկ նյութեր	Զրուցում են Դավիթ Շինարարի թուրք սելջուկների դեմ պայքարի մասին, ինչպես նաև Վրաստանի վերջնական միավորման վերաբերյալ
5 ր.	Իմաստի ընկալման փուլ	Ենթադրություններ, հարց պատասխանի միջոցով տեքստի վերլուծում և ընկալում	Աշակերտները կարդում են աղբյուրնե–րը և պատասխանում խաչաձև հարցերի. 1.Ո ր թվականներին են տեղի ունեցել Դիդգորիի Ճակատամարտը: 2. Ի՞նչ արդյունք ունեցավ այն: 3. Ի՞նչ հաջորդեց դրան:	Ամբողջ դասարանը	Աղբյուրների ընթերցում	Տրվում է հարցեր և հանձնարարություն, որի յամանակ աշակերտները խաչաձև հարցերի միջոցով հանրագումարի են բերում նոր գիտելիքը
5 ր	Կշռա-դատման փուլ	Միմյանց հետ կապիր տարեթիվը և իրադարձությունը:	Օրինակ: 1121թ. 12 օգոստոս – Ռուիս–ՈՒրբնիսիի եկեեցական ժողովը 1104 – Գելաթիի հիմնադրումը 1106 – Դավիթ Շինարարը մահացավ 1122 – ավիթը ազատագրեց Անին և Շիրվանը 1123 – Դավիթը ազատագրեց Թբիլիսին 1124 – Դավիթը ազատագրեց Դմանիսին 1125 – Դիդգորիի ճակատամարտը	Աշխա տանք զույգերով	թերթեր, մատիտ	Տրվում է աշխատանք որ կապեն իրադրձությունը տարեթվի հետ

ՍԱՄՈՎԴԵԼՈ ԳԱԿՅԵՏԻԼԻ

7ր	Ամփոփիչ փուլ	Վենի դիագրամ	Աշակերտները պետք է համեմատեն Դավիթ Շինարարին Գեորգի 2–րդի քաղաքականությունը: Նշել հոր և որդու նմանությունները և տարբերությունները	Զույգային աշխատանք		
5 ր	Զարգացնող գնահատում		Ամփոփում ենք դասի ժամանակ քննարկված նյութը, աշակերտներին գնահատում և տնային աշխատանք հանձնարարում: Գրել էսսե հետևյալ թեմայով. Վրաստանի միջազգային վիճակը Դավիթ շինարարի թագավորության ժամանակ:	Անհատա կան	Գնահատ ման աղյուսակ	Հակադարձ կապ

Դասի նպատակ իրականացված է, եթե աշակերտը կարող է խոսել հետևյալ թեմաների շուրջ.

1. Ո՞վ է եղել Դավիթ Շինարարը: 2. Դավիթ Շինարարի պայքարը թուրք սելջուկների դեմ: 3. Պայքարի ընթացքը, հետևանքները և արդյունքները:

Գնահատման աղյուսակ

Արդյունքներ	1—4	5—6	7—8	9—10
Ակտիվ մասնակցությունը	Ներգրավված չէ	Ժամանակ առ ժամանակ մասնակցում է, բայց ոչ ամբողջությամբ	Ակտիվ է, բայց հիմնական մասնակցություն չի ցուցաբերում	Ակտիվ է, հետևողական է
Ազատ կարծիքի արտահայտում և տրամաբանական հարցերի առաջադրում	Չի արտահայտում սեփական կարծիքը և դժվարանում է տրամաբանական հարցեր առաջադրելու մեջ	Երբեմն արտահայտում է սեփական կարծիքը, դժվարանում է հարցեր տալու մեջ	Արտահայտում է սեփական կարծիքը, հաճախ պակասում է վստահությունը, հարցերը թերի են	Սեփական կարծիքը արտահայտում համոզիչ, դատում է փաստերով, անհրաժեշտության դեպքում առաջադրում է տրամաբանական հարցեր:
Ուշադրության կենտրոնացում	Ուշադրությունը չի կենտրոնացնում, չի պահպանում հրահանգները	Փորձում է կենտրոնանալ, բայց հաճախ շեղվում է, դժվարանում է հետևել հրահանգներին	Հիմնականում կենտրոնացած է աշխատանքային գործընթացին, դժվարանում է պահպանել հրահանգները	Ամբողջ աշխատանքի ընթացքում ուշադրությունը կենտրոնացված է, պահպանում է հրահանգները
Ուրիշների կարծիքների ընդունում և հարգալից վերաբերմունք	Չի լսում ուրիշների կարծիքը, ընդհատում է	Միշտ չի լսում ուրիշի կարծիքը, կամ լսում է, բայց չի արձագանքում	Լսում է ուրիշի կարծիքը և ընդունում այն,աշխատում է լինել հակիրճ	Ուշադիր լսում է դիմացինին, ունի փաստերը վերլուծելու և համադրելու ունակություն,չինչպես նաև քննադատական մտածելակերպ:

ՍԱՀԽԵՐԻՍ ՄԵ–2 ՍԱՖԱՐՈ ՍԿՈԼԱ ՄՍՈՓԼԻՈՍ 100 ՍԱՈՒԿԵԹԵՍՈ ՍԿՈԼԱՍ ՇՈՐԻՍ ԴԱՍԱԽԵԼԴԱ

Սահերի ալիա ֆավֆավաձի սահելոբի մե-2 սաֆարո սկոլա սաերթաշորիսո կոնկուրսՏզ „մսոֆլիո գանատլեբի կվիրե�“ մսոֆլիոսի 100 ՏարմատեՐե�սկոլի ՏամոնատվալՏի մոՏվդա.

Կոնկուրսիսի ֆարգլեՐեՏի գամարտուլ ոնլաին կոնֆերենցիաս սաքարթվելոսի գանատլեբի, մեցնիերեբի, կուլտուրիսա და սպորտիսի մինիստրիս მოადგილე თამარ ქიტიაშვილი ესწრებოდა.

ღონისძიებაზე სკოლის წარმომადგენლებმა პრეზენტაცია წარადგინეს და დამსწრე საზოგადოებას როგორც სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები და აპრობირებული პრაქტიკები, ასევე სკოლაში უცხო ენებისა და STEM საგნების სწავლების ეფექტური მეთოდოლოგია გააცნეს. პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა საქართველოში ერთ-ერთი პირველი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც მოსწავლეებს ზოგადი და პროფესიული განათლების ინტეგრირებულად მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ონლაინ კონფერენციაზე, სწორედ ზოგადი განათლების მიღების პარალელურად, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე მინისტრის მოადგილემ ისაუბრა და ამ მიმართულებით, საჩხერის მე-2 საჯარო სკოლაში სიახლეების დანერგვა დადებითად შეაფასა.

თამარ ქიტიაშვილმა სკოლის წარმომადგენლებს საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატება მიულოცა და მათ გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა. მინისტრის მოადგილის თქმით, საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა ერთ-ერთი პირველია იმ საჯარო სკოლებს შორის, რომელიც საკუთარ ბაზაზე დანერგავს და განახორციელებს სრულ სადიპლომო პროგრამებს, რაც სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას ახალ საფეხურზე აიყვანს.

მან ასევე აღნიშნა, რომ თანამედროვე სკოლამ ახალგაზრდებში პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და პიროვნულ განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, რასაც საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა წარმატებით ახორციელებს.

„მსოფლიო განათლების კვირეული“ ორგანიზებულია მოძრაობა T4-ის მიერ, რომელიც განათლების მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას აერთიანებს. კვირეულის მიზანია ხარისხიანი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და სასკოლო განათლების საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება მსოფლიო მასშტაბით. 2020 წლის „მსოფლიოს განათლების კვირეულის“ მთავარი გზავნილია: „ჩვენ მსოფლიოს ვაჩვენებთ 100 საუკეთესო სკოლის გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნებში მაღალი ხარისხის განათლების დამკვიდრებას“.

საქართველოში „მსოფლიო განათლების კვირეულის“ მხარდამჭერია კოალიცია „განათლება ყველასთვის – საქართველო (EFA).

ՍԱՄՇԵՆԵԲԼՈ ՍԵՔՏՈՐՈՒՄ ԹԱՆԱՄՇՐՈՄԼՈԲԱ ԱԽԱԼ ՍԱՖԵԽՈՒՐՋԵ ԳԱԴԱԼԻՍ

Սաքարթվելոսի գանատլեբի, մեցնիերեբի, կուլտուրիսա და სპორტის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა პროექტის „კერძო სექტორის ხელშეწყობა და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილება. შეხვედრა ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის (ICCA), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით გაიმართა. მისი მიზანი იყო პროფესიული განათლების განვითარების პროცესში კერძო სამშენებლო სექტორის ჩართულობისა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

ორდღიანი სამუშაო შეხვედრის ფორმატში, ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციამ წარმოადგინა ხედვა, თუ როგორ შეუწყობს ხელს ასოციაცია პროფესიულ განათლებასთან მშენებლობის სექტორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ღონისძიების ფარგლებში გაჟღერდა სიახლე ასოციაციის მიერ განათლებისა და დასაქმების კომიტეტის შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც იქნება პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ისეთ პროცესებში აქტიური თანამონაწილეობა, როგორიცაა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, პროფესიული პროგრამებისა და დუალური სწავლების ძირითადი ასპექტების შესახებ სამშენებლო ბიზნესის ინფორმირება და სხვ. ღონისძიების ფარგლებში მხარეებმა ასევე იმსჯელეს ასოციაციისა და „უნარების სააგენტოს“ შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე და იმ გზებზე, თუ როგორ მოხდება სამშენებლო ბიზნესის მხრიდან ინიციატივების წარმოდგენა და მათი გათვალისწინება პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ასოციაციის წევრმა 30-მდე კერძო სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების იმიტირებული სამუშაოები შეასრულეს და პროგრამების განხორციელების პროცესის ეტაპები განიხილეს.

გამოცდილება

კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება და ჯანსაღი საკლასო საზოგადოების შექმნა პირველ კლასში

სკოლაში შესვლასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება ბავშვის ცხოვრება. მის უდარდელ ცხოვრებას საქმიანი, ვალდებულებებით აღსავსე დღეები ენაცვლება და ბავშვს ახალი სოციალური სტატუსი – მოსწავლის სტატუსი ენიჭება. ამიტომაც მნიშვნელოვანია პირველკლასელის დახმარება ახალ საქმიან გარემოსთან შეგუებაში, ელემენტარული სასწავლო ჩვევების დაუფლებაში, თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარის განვითარებაში. ხელი შევუწყოთ მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, რაც ზოგადი განათლების ერთვნულ მიზანს წარმოადგენს.

გასულ სასწავლო წელს, ჩემს კლასში, 22 პირველკლასელი ჩაირიცხა და მათ შორის, ქართველ მოსწავლეებთან ერთად, სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები სწავლობდნენ – ქართველ ბავშვებთან ერთად, ბელარუსიის და თურქეთის მოქალაქეები. ისინი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგნენ. კლასში რომ ჯანსაღი სასწავლო გარემო შეიქმნას, საჭიროა მოსწავლეებში ტოლერანტობის გრძნობის წახალისება და მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა. თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად, ვეცნობით მოსწავლეების კულტურულ თავისებურებებს, რათა ხელი შევუწყოთ პირველკლასელებს შორის ერთიანობისა და სოლიდარობის გრძნობების ჩამოყალიბებას.

ვცდილობ, კლასში, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, ტოლერანტული დამოკიდებულება დავამკვიდრო, რადგან მრავალფეროვნება სასარგებლოა როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნება „ამდიდრებს“ სასწავლო გარემოს. მრავალფეროვან გარემოში, ინტერკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით, მოსწავლეს უვითარდება:

- მრავალმხრივი ხედვა;
- კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი;
- საერთო ღირებულებების მიმართ პატივისცემა;

სადამრიგებლო საათს ვიყენებ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და შეძლონ თანამშრომლობა, ვინაიდან კლასგარეშე საქმიანობა ბავშვის ინტერესების, ნიჭის გამოვლენისა და განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ამ დროს უკეთ ხდება მოსწავლის რეალური სოციალური საჭიროებების შესწავლა და კლასში სოციალური სიტუაციის გაუმჯობესება. განვიხილავთ მნიშვნელოვან და საინტერესო კითხვებს, ვეცნობით სწავლისა თუ ურთიერთობისას წამოჭრილ სირთულეებს, ვზრუნავთ მათი გადაჭრის გზებზე. ინტერკულტურული მიდგომების საფუძველი, სწავლისა და სწავლების პროცესში, თანამშრომლობაა. სწორედ თანამშრომლობითი სწავლება წარმოადგენს ინტერკულტურული განათლების ქვაკუთხედს. უპირველეს ყოვლისა, კლასში შევქმენი ინტერაქტიული გარემო, რომელიც თანამშრომლობით პრინციპებს ემყარება და მოსწავლეს ერთიანობის გრძნობას, სოციალურ და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს უვითარებს. ამიტომაც, სადამრიგებლო საათზე დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების, კერძოდ კი თანამშრომლობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, პირველ ეტაპზე, მიზნად დავისახე, რომ მოსწავლეებს უკეთ გაეცნოთ ერთმანეთის ინტერესები, სხვადასხვა კულტურის თავისებურებები, სამუშაოს დაგეგმვამდე გაეკეთებინათ არჩევანი და ერთმანეთთან თანამშრომლობით შეექმნათ პროდუქტი.

აქტივობა 1 – ერთმანეთის გაცნობა

კლასში ჯანსაღი საკლასო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა თანაკლასელების გაცნობა. მოსწავლეები ერთმანეთის უკეთ გასაცნობად ხატავენ ხელებს, ხელის გულზე წერენ თავიანთ სახელებს, ასახელებენ საყვარელ ნივთს, სათამაშოს, ზღაპრის გმირს, ტკბილეულს, ფერსა და სხვას. მეორე ეტაპზე, ხატავენ თავიანთ თავს, ნამუშევრებს კედელზე ვაკრავ, როდესაც ისინი კლასში არ არიან. მოსწავლეები მიდიან ნახატებთან, ამოიცნობენ მეგობარს და ასახელებენ მის საყვარელ ნივთს, სათამაშოს, ტკბილეულსა და სხვა.

აქტივობა 2 – ემოციების ამოცნობა

პირველკლასელებს უჭირთ საკუთარი მოქმედების კონტროლი, ამიტომაც აუცილებელია მათში რეფლექსიის უნარის, საკუთარი და სხვისი ემოციის მდგომარეობის გაგება და თვითკონტროლის განვითარება. ემოციების სამართავად გამოვიყენე ასეთი თამაში – ვურიგებ ბარათებს სხვადასხვა ემოციათა სახელწოდებით, მაგალითად: მოწყენილი, შეშინებული, გაკვირვებული, გაბრაზებული, ბედნიერი, მხიარული და სხვ. მოსწავლეები გამოხატავენ ამ ემოციას და თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ, პასუხობენ შეკითხვას: რას გრძნობს ბავშვი? რას იგრძნობდით თქვენ ამ დროს? ასეთ დროს ბავშვები აცნობიერებენ, რომ ადამიანებს, ერთსა და იმავე სიტუაციაში, შეიძლება განსხვავებული ემოციები გაუჩნდეთ.

ემოციების ამოცნობის შემდეგ, ვსხდებით წრეში და ვაწყობთ დისკუსიას – ჩვენი გარშემომყოფების რომელმა კეთილმა საქმემ შეიძლება დაგვაყენოს კარგ ხასიათზე. იდეების გენერირების შემდეგ, კლასში ვირჩევთ მათთვის სასურველ კეთილ საქმეებს:

- ღიმილიანი მისალმება ნაცნობისადმი;
- მოწყენილი მეგობრისთვის სასაცილო ამბის მოყოლა;
- მეგობრისთვის კომპლიმენტის თქმა;
- ზამთრის ფრინველებისთვის საკვებურის მოწყობა;
- ხეების დარგვის პროცესში მონაწილეობა და სხვ.

სასურველი საქმიანობის შესრულების შემდეგ, მოსწავლეებთან ერთად, კვლავ იმართება დისკუსია და შესრულებული საქმიანობის რეფლექსია. იხსენებენ მათ მიერ განხორციელებულ სიკეთეს და პასუხობენ კითხვას – რა რეაქცია მიიღეს ამ დროს სხვა ადამიანებისგან. ამგვარი აქტივობები კლასში დადებითი კლიმატის შექმნაში მეხმარება.

აქტივობა 3 – რამდენი ანბანია?

ქართული ანბანის პირველი ასოების გაცნობისას, ყურადღებას ვამახვილებ სხვა ქვეყნების დამწერლობაზეც. მოსწავლეებს ვაცნობ ბელარუსული და თურქული ანბანის რამდენიმე ასოს. სამივე ანბანს მოსწავლეებს მათთვის კარგად ნაცნობი პერსონაჟი ჟირაფი ჟოზე აცნობს. პირველკლასელები აჰყვებიან ჟირაფ ჟოზეს სიმღერას ანბანზე. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ, თუ როგორ გამოითქმის ესა თუ ის სიტყვა თურქულ და ბელარუსულ ენაზე. თურქი და ბელარუსი ბავშვები ორივე ენას ფლობენ.

აქტივობა 4 – ჩემი იავნანა

ვეცნობით და პატივს ვცემთ თანაკლასელების კულტურას. მოსწავლეებს ვასმენინებ სხვადასხვა ერების იავნანას. მოსწავლეები ამოიცნობენ ქართულ, ბელარუსულ და თურქულ იავნანას. აჰყვებიან ნაცნობ მელოდიას, წყვილებსა და ტრიადებში თამაშობენ თოჯინობანას და თოჯინას იავნანას სიმღერით აძინებენ.

აქტივობა 5 – კულტურული თავისებურებები, საბავშვო სიმღერები, სამოსი და ტრადიციული კერძები

კულტურული მრავალფეროვნების განცდისა და მისი დაფასების უნარების გასავითარებლად ვიყენებ „კულტურათა დიალოგს“. თანაკლასელების უკეთ გასაცნობად ვეცნობით ტრადიციულ სამოსს, რომელიც ეროვნულ საცეკვაო ფორმას წარმოადგენს. კლასში მოვაწყვეთ ეროვნული სამოსის დღე. პირველკლასელებმა, მშობლებთან ერთად, წარმოადგინეს ეროვნული სამოსი, მოუსმინეს და აჰყვნენ სამივე ეროვნების საბავშვო სიმღერებს, დაბოლოს, მშობლებთან ერთად, ტრადიციული კერძების პრეზენტაცია-დაგემოვნება გაიმართა.

აქტივობა 6 – ჩემი საყვარელო ზღაპრის გმირი

მოსწავლეები ასახელებენ თავიანთი ქვეყნის საყვარელ ზღაპრის გმირს, უყურებენ სხვადასხვა ნახატ ფილმებს. ხატავენ ზღაპრის გმირს და ამზადებენ პრეზენტაციას და გამოფენას.

აქტივობა 7 – ჩემი საყვარელი ზღაპარი

ერთობლივი კითხვის მეთოდით, მოსწავლეები კითხულობენ ზღაპრებს, მსჯელობენ დადებით და უარყოფით გმირებზე, მარტივად ახასიათებენ მოქმედ პირებს, ირჩევენ საყვარელ ზღაპარს.

აქტივობა 8 – საყვარელი ზღაპრისაგან ნახატი ფილმის შექმნა

ზღაპრების გაცნობის შემდეგ, ნახატი ფილმის შექმნა გადავწყვიტეთ. განხილული ზღაპრებიდან მოსწავლეთა უმრავლესობამ „კომბლე“ აირჩია. ამიტომ ჩვენი მუშაობაც ამ ზღაპრის ილუსტრირებიდან დავიწყეთ.

ბავშვები ზღაპარს სიუჟეტებად ანაწევრებენ, ხატავენ ამ სიუჟეტებს, ტექსტის მიხედვით ალაგებენ და ემზადებიან ნახატი ფილმის შესაქმნელად. მოსწავლეებს ვაძლევ სტიმულს, ერთობლივად იმუშაონ ნახატი ფილმის შექმნაზე. ხელს ვუწყობ მათი თანასწორობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას. ვახალისებ პროსოციალურ ქცევებს და, მუშაობისას, ერთმანეთის დახმარებისაკენ ვუბიძგებ.

აქტივობა 9 – ერთად შექმნილი ნახატი ფილმი

სიუჟეტების დახატვის შემდეგ მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, აწყობენ მექანიკურ კამერას და თანაკლასელებს უჩვენებენ ნახატ ფილმს „კომბლე“, რასაც 5 სიუჟეტისგან შემდგარი ნამუშევრის პრეზენტაცია მოსდევს. ამ პროცესში მოსწავლეები მაქსიმალურად ავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს და მრავალფეროვან გარემოში ეფექტურ კომუნიკაციას, მედიაციას და თანამშრომლობას სწავლობენ. მათ მიერ შექმნილი ნახატი ფილმი აძლევთ იმის იმედს, რომ კლასში ბევრ საინტერესო საქმიანობას დაეუფლებიან.

შედეგი – დასკვნა

უპირველეს ყოვლისა, კლასში ვქმნი ინტერაქტიულ გარემოს, რომელიც თანამშრომლობის პრინციპებს ემყარება. თანამშრომლობა და პროსოციალური ქცევების წახალისება მეხმარება კლასში საერთო კულტურისა და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს ფორმირებაში. ზემოთ აღწერილი აქტივობებით ვცდილობ, მოსწავლეებს ერთიანობის გრძნობა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები განუვითარო ჩემს კლასში, სადაც მოსწავლეები, განურჩევლად სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა და განსხვავებული კულტურისა, ერთად მუშაობენ. ვცდილობ, შევქმნა მეგობრული და არა ეთნიკურ-კულტურული ნიშნებით დაყოფილი საზოგადოება. კლასში ასეთი თანამშრომლობითი გარემოს შექმნა ლაღი, გაბედული, შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

დიანა ბერიძე

სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

სანდროს თავდაჯერება მოემატა

ამერიკაში მცხოვრები ქართველი კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი ერთი წლით კვლავაც აშშ-ს სტუდენტურ საკალათბურთო ლიგაში – NCAA-ში დარჩა და ამ სეზონსაც ისევ თავის ძველ კლუბში, „სეტონ ჰოლში“ ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ეს კლუბი „ბიგ ისთის“ კონფერენციაში ერთ-ერთი ფავორიტი იყო და პლეი ოფის საგზურიც მოიპოვა, თუმცა გათამაშება კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო შეწყდა. ამ დროს 21 წლის ქართველი კალათბურთელი NBA-ს დრაფტზეც დადგა, მოგვიანებით კანდიდატურა მოხსნა და ერთი წლით კვლავ სტუდენტურ ლიგაში ამჯობინა დარჩენა. სამაგიეროდ, იმ პერიოდში უკვე მოასწრო NBA-ს გუნდების დაინტერესება და რამდენიმე მათგანში გასაუბრებაზეც იმყოფებოდა, გამოხმაურებაც კარგი ჰქონდა, მაგრამ თავისი კარიერისთვის მაინც სტუდენტურ ლიგაში ამჯობინა დარჩენა.

ამ დღეებში, ამერიკულ მედიაში, „სეტონ ჰოლის“ მწვრთნელთან, კევინ უილარდთან წინასასეზონო ინტერვიუ გამოქვეყნდა, საიდანაც ირკვევა, რომ ამ გასაუბრებამ და დრაფტზე ყოფნამ მაინც დიდი როლი შეასრულა მამუკელაშვილის ცხოვრებაში – მწვრთნელის თქმით, ის ბევრად უფრო თავდაჯერებული გახდა. *„მან NBA-ს დრაფტის გარკვეული ნაწილი გაიარა და დიდი დაინტერესებაც გამოიწვია. ახლა ის შეცვლილია – თუ ადრე თავდაჯერება ცოტათი აკლდა, ახლა საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებულია. მან უკვე კარგად იცის, რომ შესანიშნავი მოთამაშეა. ახალ სეზონში გუნდში „მამუს“ და კიდევ რამდენიმე მოთამაშის როლის გაზრდას ველოდები. სანდროს მაგარი სეზონი ექნება და მას ხშირად მოუწევს ტაირის სემუელთან ერთად თამაში“* - აცხადებს მწვრთნელი.

შეგახსენებთ, რომ მამუკელაშვილს NBA-ს დრაფტზე დადგომას შარშანვე არ ურჩევდა სპეციალისტთა ნაწილი, ოღონდ არა იმიტომ, რომ თითქოს მზად არ იყო ასეთ დონეზე სათამაშოდ – პირიქით, ლამის ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ადაპტაცია არ გაუჭირდებოდა, თუმცა მათი არგუმენტი ის იყო, რომ სტუდენტურ ლიგაში კიდევ უფრო მოძლიერდებოდა, კიდევ უფრო მოუმატებდა და გაცილებით უკეთ მოემზადებოდა NBA-ში სათამაშოდ. ამასთან, მიმომხილველთა ნაწილი პირდაპირ ურჩევდა „სეტონ ჰოლის“ ხელმძღვანელობას, რომ მიმდინარე სეზონშიც შეენარჩუნებინა მამუკელაშვილი, რადგან ცხადი იყო, კლუბის მეორე ლიდერს სტუდენტურ ლიგაში არავინ დატოვებდა და მისი წასვლის შემთხვევაში ქართველი კალათბურთელის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ მამუკელაშვილსაც თუ დაკარგავდნენ, კლუბს მის გარეშე ფრიად გაუჭირდებოდა.

იმედია, NCAA-ს წლევანდელი სეზონი დროულად განახლდება და მამუკელაშვილი კიდევ უფრო მოუმატებს. ის დრაფტზე დადგომას გაისადაც გეგმავს და ალბათ, მაშინ მართლაც გადავა მსოფლიოს ამ უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში. თანაც, რომელიმე ძლიერი კლუბი აიყვანს, რადგან NBA-ში მისადმი ინტერესი რომ დიდია, ეს წლევანდელმა გასაუბრებამაც დაადასტურა.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ამერიკაში დაბადებულ-გაზრდილი მამუკელაშვილი საქართველოსეროვნული ნაკრების წევრიცაა და მის ერთ-ერთ იმედადაცაა მიჩნეული. მამუკელაშვილი ამერიკაში კი გაიზარდა, მაგრამ კალათბურთის თამაში საქართველოში დაიწყო „აკადემიაში“. მას ქვეყნის რამდენიმე ასაკობრივ ნაკრებშიც უთამაშია, ამერიკაში NCAA-ში წასვლამდე კი ერთ-ერთ ძლიერ იტალიურ კლუბშიც ითამაშა. ამერიკაშიც ის სტუდენტური ლიგის წამყვან კლუბებში გამოდიოდა.

რაც შეეხება ნაკრებში მის გეგმებს, ქვეყნის მთავარ გუნდს უახლოესი თამაშები, „ევრობასკეტ-2022-ის“ ფარგლებში, ნოემბერში, ფინეთში უწევს (თარიღები მოგვიანებით დაზუსტდება) მასპინძელთა გუნდსა და შვეიცარიასთან. ჩვენები E ჯგუფში გამოდიან და შინ შვეიცარიასთან, ხოლო სტუმრად სერბეთთან გამარჯვების შემდეგ, უდანაკარგოდაც ლიდერობენ მას. დიდი ალბათობით, ნოემბრის თამაშებში მამუკელაშვილსაც მოიწვევენ, ამერიკიდან ევროპაში ჩამოფრენა კი არ უნდა გაუჭირდეს პანდემიით გამოწვეული შეფერხებების მიუხედავად.

ირაკლი თავაძე

პროფესიული განათლება

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირებულ პროგრამებზე სწავლა დაიწყო

საქართველოს მასშტაბით 15-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პირველად დაიწყო 40-მდე ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის განხორციელება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, კაჭრეთის კოლეჯში „აისი“, ინტეგრირებული სწავლების პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს შეხვდა და სწავლის დაწყება მიულოცა. მინისტრის მოადგილემ სასწავლო გარემო და ის ლაბორატორიებიც დაათვალიერა, რომლებიც სპეციალურად ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების მიზნით მოეწყო.

2020 წელს პირველად გამოცხადდა რეგისტრაცია იმ პროგრამებზე, რომლებიც საბაზო განათლების მქონე სტუდენტებს, პროფესიული განათლების მიღების პარალელურად, სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობას სთავაზობს. სამწლიანი პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომთან ერთად, სკოლის ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს, რომელიც სურვილის შემთხვევაში, მას უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის შეუფერხებლად გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს.

კოლეჯი „აისი“ ერთ-ერთი პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჩართული იყო პროფესიული განათლების საფეხურზე ზოგადი განათლების ინტეგრირების პილოტირების პროცესში. წარმატებული პილოტირების შემდეგ, კოლეჯმა კაჭრეთის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს ბაზებზე ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების, მეტყევეობისა და შედუღების ინტეგრირებული პროგრამები შესთავაზა დაინტერესებულ პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კოლეჯი, რომელმაც ავტორიზაციის საბჭოს მიერ ინტეგრირებულ პროგრამაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, „ახალი ტალღა“ იყო. *„ვულოცავ კოლეჯ „ახალ ტალღას“ ამ წარმატებას, მადლობა საბჭოს, ექსპერტებს, ცენტრს და ვულოცავ ყველას, ვინც ახალგაზრდებისათვის ამ შესაძლებლობის მისაცემად უდიდესი შრომა გასწია! ვულოცავ განათლების სისტემას წლების განმავლობაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხის ფაქტობრივად აღმოფხვრას!“* – ასე გამოეხმაურა კახა ერაძე საკუთარ ფეისბუქგვერდზე „ახალი ტალღის“ ინტეგრირებული პროგრამის ავტორიზაციას.

კახა ბოლქვაძე, კოლეჯის დირექტორის მოადგილე მიიჩნევს, რომ ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან ამით სახელმწიფომ შანსი მისცა ცხრაკლასდამთავრებულებს, დაეუფლონ როგორც პროფესიულ პროგრამებს, ასევე სრულ საშუალო განათლებას. *„აღნიშნულ პროგრამაზე აქამდეც ვიყავით ავტორიზებული, თუმცა სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთვარებული მხოლოდ პროფესიულ დიპლომს იღებდა. აქედან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაში, ის ვერ შეძლებდა სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძლებას, ანუ მას რეალურად ჩაკეტილი ჰქონდა უმაღლესისკენ მიმავალი გზა. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, ეს გზა გაეხსნებათ.*

ავტორიზაციის მისაღებად, ბუნებრივია, მოგვიწია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა დეტალის გათვალისწინება და ახალი მიდგომების განხორციელება. მაგალითად, ინტეგრირებული მიდგომით, პროგრამას დავამატეთ ზოგადი მოდულები, რომელიც პროფესიული განათლების დეპარტამენტმა და ხარისხის ცენტრმა შეიმუშავა. სწორედ ეს მოდულები აძლევს ჩვენს პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას, რომ, პროფესიულ მოდულებთან ერთად, დაეუფლონ იმ უნარჩვევებსა და ცოდნას, რაც სავალდებულოა, მეცხრედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, მზაობის დასადასტურებლად, რომ საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი მიიღონ.

ცხადია, არსებობს ავტორიზაციის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედეთ როგორც სასწავლო მოდულების დამატების, ისე პედაგოგების შერჩევის შემთხვევაში. კონკურსით შერჩეული პედაგოგების უმეტესობა სკოლის პედაგოგია.“

დანერგვის პირველივე ეტაპზე აღნიშნული სიახლით სარგებლობის შესაძლებლობა გაჩნდა, ერთდროულად, თბილისში, გურიაში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში.

ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა 2020 წლის 7 ოქტომბერს (ძველი სტილით). ამ თარიღს მიეძღვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გახსნილი ექსპოზიცია „მეფე ერეკლე II – 300“.

ერეკლე მეორეს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დიდმა სარდალმა და სახელმწიფო მოღვაწემ, წინაპრების მსგავსად, მრავალი გამარჯვება მოიპოვა და ქართველი ხალხისთვის ლეგენდად იქცა. მან სიცოცხლის ნაწილი ლაშქრობაში გაატარა და უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. ქართველმა ხალხმა მას საალერსო სახელი „პატარა კახი“ უწოდა.

საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები სწორედ საქართველოს გამორჩეული მეფის როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ისე პირად ცხოვრებას ასახავს. დამთვალიერებელი საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალის დედნებს და ფოტოასლებს, დოკუმენტებს, ისტორიულ საბუთებს, ხელნაწერებს, მეფის პირად წერილებს, ერეკლეს სტამბის მნიშვნელოვან გამოცემებს, მეფისა და მისი ოჯახის წევრების პორტრეტებსა და სხვა მნიშვნელოვან და საინტერესო მასალას გაეცნო.

ყურადღებას იპყრობს ამონარიდი ქართველი მწერლის, ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგის მოგონებიდან, სადაც საუბარია სვეტიცხოველში 15 წლის ერეკლე II-ის მეფედ კურთხევის შესახებ. წესი განაწესა და შეასრულა კათალიკოსმა ანტონ პირველმა, 1744 წლის 1 ოქტომბერს. *„ქორონიკონს 432 (1744ნ) მაის მეფეს თეიმურაზს ქართლის მეფობა უბოძა ყეენმა, მეფე ერეკლეს-კახეთისა. მაშინ ვიყავ წლისა თხუთმეტისა სრული და ექვსი თვისა. რა გითხრათ, რა სიხარული იყო ჩვენგან. ტყვეობის შიშით სამი თვე რომ სიონის აკლდამაში ვისხედით, ამოვედით ქართველობა შეიქმნა, საყდრებში თათრების შიში აღარ იყო. ვექილები, ვეზირები, მუსტოფი რომ ქართველ ბატონს მსახურებდენ და თავს დაუკრევდენ, გაგვიოცდის და გაგვიკვირდის. შიგნით არმის სასახლე რომ ვნახეთ და მეფეთ მეჯლისი და დილაზედ სალამი, უცხო რამ სიხარული იყო ყმაწვილის კაცისთვის“.*

აქვეა ჩანაწერი აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ანტონ პირველის (ერისკაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილი) შესახებ: *„ასაკით იყო მცირე, მაგრამ სოლომონის სიბრძნესა არარად კლებულ იქმნებოდა. მეფეთა შვილი იყო და სულიერსა მეფობასაც ღირს იქმნა. ეგრე მორჩილ მეფობისა საკადრად განაგებდა ყოველთა საზღვართა კეთილისათა“* – პაპუნა ორბელიანი, მინიატურა ხელნაწერიდან: ანტონ I კათალიკოსი, მისტიკური თეოლოგია 1780 წელი.

მეფის წერილებიდან აღსანიშნავია ბართლომე სავარსავიძისადმი მიწერილი წერილი, სადაც მეფე ბართლომეს ატყობინებს, დიდძალი ჯარით აღა-მაჰმად ხანის თბილისთან მოახლოებას (ხუთასი კილომეტრი დაშორებით) და ითხოვს, ტრაქტატის ძალით, რუსეთის ვალდებულების აღსრულებას – საომარი ვითარებისას დახმარებას და, საჭიროების შემთხვევაში, გენერალ ანშეფის ჯარით მიშველებას (1791 წლის 2 აგვისტო). მეორე წერილი კი, ნიკოლოზ ივანეს ძისადმია მიწერილი. მეფე იტყობინება აღა-მაჰმად ხანის მოსალოდნელი შემოსევის შესახებ და ითხოვს სამი ათასი „თოფის ამოღებას“, მეომრების მიშველებას. ასევე, ატყობინებს აღა-მაჰმად ხანის საიდუმლო წერილების იბრეიმ ხანის მიერ ხელში ჩაგდებისა და მისთვის გადაცემის შესახებ (1795 წლის 29 აგვისტო).

ერეკლე მეფის კათალიკოს-პატრიარქ ანტონ პირველისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: *„ვიცი, ბატონისშვილო, ჩვენს ამბავს მიხსენებთ, თქვენ რაღაც უგუნებობა გჭირდათ და თქვენ რომ მორჩით, მასუკან ერთი ძნელი ყელისტკივილი სიცხიანი და მჭელიანი ამიტყდა და დიაღ შემაწუხა; შენ ნუ მომიკვდები, და შენის მადლით ძლივ გამოუძვერ. ახლა ეს ლეკის ჯარი გვიდგას პირისპირ და ვნახოთ ჩვენი ღმერთი და შენი წმინდა ლოცვა რას გვიზამს“* (1750 წლის 16 ოქტომბერი).

გამოფენაზე წარმოდგენილია მეფე ერეკლე II-ის პატარა ბატონიშვილ „თეკლა ბიჭისადმი“ მოკითხვის, მამობრივი მზრუნველობისა და მოფერების ამსახველი წერილი, სადაც მეფე ებოდიშება თეკლას, რომ ამჯერად ტკბილეული ვერ გაუგზავნა. პირადი ხასიათის წერილში მეფე წუხს თეკლას ავადმყოფობის გამო და ჰპირდება მალე ნახვას (1785 წლის 1 დეკემბერი).

საგამოფენო პავილიონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეფის სტამბაში დაბეჭდილ და გამოცემულ წიგნებს: ზატიკი, მხიტარ სებასტიელის რიტორიკა, მთარგმნელი ანტონ I კათალიკოსი (ტფილისი, 1788 წელი); მეფე ერეკლეს სამოციქულო, სახარება, მარხვანი. მეფე ერეკლეს სტამბის გამოცემებიდან, ასევე, წარმოდგენილია დეკორი, საზედაო გრაფემები და სხვ. აქვეა წერილი მუშრიბ დავით ყორღანაშვილის თავად ციციანოვთან ერეკლე II-ის მიერ თბილისში სტამბის დაარსების, მისი ფუნქციონირების, რამდენიმეგზის აღდგენის და საბოლოო დაშლის შესახებ (1803 წლის 12 აპრილი).

ხელნაწერების სახითაა წარმოდგენილი ანტონ I კათალიკოსის მიერ თარგმნილი მხითარ სებასტიელის რიტორიკა – 1892 წელი; ანტონ I კათალიკოსის ქართული გრამატიკა, – XVIII საუკუნე; კატეხიზმო – 1767 წელი და გნოსის არისტოტელებითთა კატიღორიათა გარდამოცემისა – XVIII საუკუნე.

საინტერესოა თუმანიშვილის მიერ 1826 წელს შედგენილი ბაგრატიონთა კახეთ-ჰერეთის შტოს გენეალოგიური ხე – *„წარმოჩენა ჰერთა, კახთა მეპატრონეთა და მეფეთა უწინარეს და შემდგომთა“*, რომელიც იწყება მეფე ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებლით და მთავრდება ერეკლე მეფის შვილიშვილებით, მათ შორის, მოხსენიებული არიან: *„დავით მემკვიდრე“* და *„ცოლი ამისი ელენე“* (ხელნაწერიდან – საისტორიო კრებული, 1813-26 წლები).

ოფიციალური დოკუმენტური მასალებიდან ყურადღებას იქცევს: ოქმი – პირობით, ერეკლე 2-ისა სამშობლოდან გადახვენილ ისაია იეგულაშვილისადმი, დაბრუნების შემთხვევაში, კუთვნილი ქონების დაბრუნების და ხელშეუხებლობის შესახებ. *„...წყალობის მოიმედე იყავ, მოდი და შენს მამულსა და ყმებს მოეპატრონე. აქ ღვთის მოწყალობით უცხო ქვეყნის კაცნი მოდიან და სახლდებიან და შენი სამკვიდრებელი რატომ უნდა გაუშვა. ეს ჩვენი ოქმი რომ მოგვიდეს წამოდი ნუღარ დასდგები... აქ ჯაბრსა და უსამართლოს არავის ვაქნევინებთ... და შენზე თვალსა და ყურს დავიჭერთ, იცოდე.“* (1770 წლის 26 თებერვალი); „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“ – მორიგე ჯარში ხალხის გაყვანის წესები, შემუშავებული ერეკლე მეორის მიერ უმაღლესი საერო და სასულიერო პირთა მონაწილეობით. საბუთს თან ახლავს ნუსხა ქართლ-კახეთის სოფლებიდან 1774 წელს ჯარში გასაწვევი ხალხისა (1774 წლის 1 იანვარი); სითარხის წიგნი ერეკლე მეორისა დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარ გერმანესადმი, სამონასტრო ყმების სამეფო გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ (1774 წლის 10 იანვარი); მეფე ერეკლე II-ის ბრძანება თელაველი თავადიშვილებისა და სრულიად თელაველებისადმი მათი ქონების მძარცველებისგან დაცვის შესახებ: *„...რომელმაც თქვენს ვენახზე, თქვენს მინდორზე, თქვენს ქერზე, პურზე, ბოსტანზე და ამგვარებაზე ძალი მოინდომოს, შეიყრებოდეთ, დახვდებოდეთ, გალახავდეთ და ჩოხის სარტყელს და ქუდსაც წაართმევდეთ, ნურავის გაეგლეჯინებით...“* (1797 წლის 24 ივლისი); დოკუმენტი არზა ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიაზე მომუშავე ქვის მჭრელების გასამრჯელოს – ექვსი თუმნისა და ცხრა მილანთუნის – ანაზღაურების თაობაზე. დოკუმენტს ახლავს ოქმი ერეკლე მეორისა ეშიკაღასბაშ გარსევანიუსადმი ქვის მთლელებისთვის ხელწერილით გასამრჯელოს გაცემის შესახებ (1782 წლის 11 თებერვალი); განწესება – ერეკლე მეორის, მცხეთის ხიდის შემოსავლის სვეტიცხოვლის სასულიერო პირებზე განაწილებისა და დარჩენილი თანხის სვეტიცხოვლისა და ხიდის შეკეთებაზე დახარჯვის შესახებ (1750-1797 წლები).

წარწერა ერთაწმინდის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, ასპინძის ბრძოლის შესახებ: *„ქ. ამ ქ(ორონი)კ(ო)ნს უნ(ჰ) მეფე ირაკლი და რუსის ჯარი აწვია, ოსმალო გა(ა)ქციე(ე)ს, სამი ათასი თავი მოსჭრეს ლუკ(ი)სა და ოსმალ(ო)სი“* – 1770 წელი.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია გარდაცვლილი დედოფლის, ანას იმ სამკაულებისა და ნივთების ნუსხა, რომლებიც ერეკლემ კათალიკოს ანტონ I-ს მიართვა, 1749 წელს.

გამოფენა 3 ნოემბრამდე გაგრძელდება.

მოამზადა მაკა ყიფიანმა



5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“ მთავაზობთ

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა

15 ლარი

ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა

15 ლარი

პროფესიული უნარები 300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით

8 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.